

ალექსანდრე ახაფენელი

მარქსიზმი

უძენაქეული მუქენაქეუ

თბილისი
2020

ხედაქსოვი:

უბრა ბელოძე

ძველი ნათქვამია: ზოგი ჭირი მარგებელიაო. სიკეთისა რა ეტყობა საქვეყნოდ გავრცელებულ სიავეს? ერთი კი მართალია: ამ ჭირმა ადამიანები დააშორიშორა და ბინებში გამოკეტა. გაჩნდა დრო გახსენებისა, ანალიზისა, დასკვნებისა, მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მარქსიზმი თუ ლენინიზმი, მარქსისტული თვალსაზრისის საზოგადოებრივ განვითარებაზე და რუსული „სოციალისტური“ ექსპერიმენტი. ცდებოდა თეორია თუ პრაქტიკა არ ითვალისწინებდა თეორიის დასკვნებს?

მოკლე მიმოხილვა მიზნად ღრმა თეორიულ კვლევას არ ისახავდა. ამოცანა ასეთი იყო: თავად საკითხის დასმა და მარტივი ახსნა.

რამდენად წარმატებული გამოდგა ცდა, მკითხველთა შესაფასებელია. იმედი არაა, რომ რომელიმე მცოდნე სპეციალისტი მოინდომებს მის კრიტიკულ შეფასებას.



ნიგნი ანუხო და დაჯაბდონდა





1. პრობლემა

ყოველ საქმეში ყველაზე რთული დასაწყისია. მით უფრო რთულია ისეთ საქმესთან შეჭიდება, როგორცაა მარქსიზმის არსის გადაცემა რაც შეიძლება მოკლედ და ისე მარტივად, რომ იგი გასაგები იყოს ნებისმიერი პროფესიისა და ასაკის ადამიანისათვის. არადა, პრობლემის მართებულად გაშუქებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

არაა აუცილებელი გრძელი მსჯელობა პრობლემის საერთაშორისო მნიშვნელობაზე. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მარქსიზმი, როგორც ფილოსოფიური, ეკონომიკური, სოციალ-პოლიტიკური მოძღვრება ითვლებოდა მშრომელი და ჩაგრული ადამიანების მისწრაფებების გამომხატულებად.

მარქსიზმი იყო, როგორც თეორიული ცოდნის წყარო, ასევე მშრომელთა პრაქტიკული ორგანიზების იარაღი. იგი არა მხოლოდ ასწავლიდა მშრომელებს განთავისუფლების გზას, არამედ პრაქტიკულადაც რაზმავდა საბრძოლველად. კარლ მარქსის მიერ შექმნილმა პირველმა ინტერნაციონალმა და ფრიდრიხ ენგელსის მიერ შექმნილმა მეორე ინტერნაციონალმა შეფასებადი როლი შეასრულეს მუშათა საერთაშორისო მოძრაობის განვითარების საქმეში.

XX საუკუნის დასაწყისისათვის მშრომელთა განმათავისუფლებელი მოძრაობა მძლავრ რევოლუციურ ძალად ყალიბდება და საერთაშორისო კაპიტალისტურ გაერთიანებას შეურიგებლად უპირისპირდება.

მარქსიზმის ფართოდ გავრცელებამ, პოპულარიზაციამ განაპირობა მისით დაინტერესება და ბოლოს არაერთგვაროვანი გაგება. ამიტომ დასჭირდა ფ. ენგელსს დიდი ძალისხმევა,



რათა დაეცვა მოძღვრების სინმინდე. მისი დამახინჯებების მცდელობები აღეკვეთა.

საბოლოო ანგარიშით ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მთელი XX საუკუნის მანძილზე იმდენი გამგრძელებელი და განმახორციელებელი გამოუჩნდა მარქსიზმს, რომ მათი ჩამოთვლაც კი შეუძლებელი გახდა. აღარაა მსჯელობა მოძღვრების დაცვაზე მას შემდეგ, რაც მარქსისტობის დაბრალება დაიწყეს ანტიმარქსისტმა ადამიანებმა.

საუკუნის ოციან წლებში რუსეთის იმპერიის გადაკეთებამ საბჭოთა კავშირად, შესაძლებელი გახადა, მარქსიზმს დამატებოდა ლენინიზმი. მტკიცედ დამკვიდრდა აზრი ლენინიზმის, როგორც მარქსიზმის გაგრძელება-განვითარების შესახებ. ლენინიზმი აღიარეს ახალი პერიოდის მარქსიზმად. შესაბამისად, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ბელადებად გამოცხადდნენ მარქსი, ენგელსი, ლენინი. იგივე განმეორდა იოსებ სტალინის მმართველობის დროს. მშრომელ მასებში აღიარეს ოთხი ბელადი: მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი. ვერავინ გაბედავდა იმის უარყოფას, რომ ვ. ლენინია უდიდესი მარქსისტი, მისი ყველაზე ღრმა მცოდნე და საქმის გამგრძელებელი. ასევე. ი. სტალინი იქცა არა მხოლოდ ლენინიზმის, არამედ მარქსიზმის მოძღვრების პრაქტიკაში განმახორციელებელ და საქმის გამგრძელებელ მესიად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეგრეთ წოდებული სოციალისტური ქვეყნების ბანაკის შექმნას. დამკვიდრდა აზრი, რომ მსოფლიოში არის ორი შეურიგებელი იდეოლოგიის მქონე სისტემა, კაპიტალისტური და სოციალისტური. მათ შორის მიმდინარეობს ბრძოლა განვითარებადი ქვეყნების მისამხრობად.

ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ეს გაბატონებული თვალსაზრისი ვერ შეასუსტა საბჭოთა კავშირში მიმდინარე ცვლილებებმა. მალე მოიძებნა მტკიცებულებები განვითარებული სოციალიზმის დამკვიდრების სასარგებლოდ. მართალია, ნ. ხრუშოვის პირობა – ოც წელიწადში კომუნისმის ძირითადად



აშენების შესახებ ვერ გამართლდა, მაგრამ სოციალიზმის მოჩვენებითი წარმატებების შესახებ ვრცელი მსჯელობა არ შეჩერებულა.

შედეგად გამოვიდა ისე, რომ სიტყვით ყველა მარქსისტობადა, თუმცა უმეტესობა მარქსიზმის გაგების ბაიბურში არ იყო. მარქსიზმი იდევენებოდა მარქსიზმის სახელით.

XX საუკუნის ბოლო მეხუთედი ე. წ. სოციალისტურ სამყაროში დიდი რყევებით აღინიშნა. პირველ რიგში, საბჭოთა კავშირში იმძლავრა პროცესებმა, რომლის შედეგად მთლიანად სოციალისტური ბანაკი დაიშალა და ჩვეულებრივ კაპიტალისტურ ქვეყნებად გადაიქცა.

ისტორიის ცოდნა არ არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ წარსულში ამდაგვარი სასწაული არ მომხდარა. იყო პირველყოფილი თემური წყობილება, იგი მონათმფლობელობამ შეცვალა, მონათმფლობელობა – ბატონყმობამ, ეს უკანასკნელი – კაპიტალიზმმა. ამავე დროს, პირიქით არასოდეს მომხდარა. კაპიტალიზმი ფეოდალიზმს არ შეუცვლია, ფეოდალიზმი – მონათმფლობელობას და პირველყოფილ თემურ წყობილებას.

საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერების თანახმად, მაღალი დონის წყობილებიდან დაბალზე გადასვლა ანუ ცხოვრების უკან დაბრუნება, პროგრესის რეგრესით შეცვლა არ ხდება. საბჭოთა წყობილება ითვლებოდა სოციალისტურად, შესაბამისად, სოციალიზმიდან უკან, კაპიტალიზმში გადასვლა გამოირიცხებოდა. საბჭოთა კავშირში თეორეტიკოს მეცნიერთა და კომუნისტ-პრაქტიკოსთა მთელი არმია ხალხს არწმუნებდა, რომ უკვე განვითარებული და მომწინფებული სოციალიზმი იყო აშენებული. შესაბამისად, უკან, კაპიტალიზმში დაბრუნება შეუძლებელი უნდა ყოფილიყო.

მაშ რა მოსდა?

სამწუხაროდ, საბჭოთა მეცნიერებს ახსნა არ მოუციათ. სანაცვლოდ მივიღეთ რეალობა. ვინც ადრე თავგამოდებით აქებდა მარქსიზმს, ახლა ასევე თავგამოდებით აგინებს. ადრე ყველა მარქსისტი იყო, ახლა ყველა მისი მოწინააღმდეგეა.



უფრო მეტიც, მიჩნეულია, რომ მარქსიზმმა ვერ გაამართლა. სოციალიზმმა განვითარებულ ქვეყნებში მარცხი განიცადა. თანამედროვე მსოფლიოში სოციალიზმი მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში შემორჩა: ვიეტნამში, ჩრდილოეთ კორეაში, ჩინეთში, მონღოლეთში, კუბაში. ასეა?

თანამედროვეობის უდიდეს ცვლილებებს ობიექტური ახსნა სჭირდება. მარქსიზმის დანუნება და ლანძღვა გამოსავალი არ არის. შეიძლება, კიდევ ცდილობენ პრობლემაში გარკვევას, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს.

2. ამოცანა

XX საუკუნის ბოლოს სოციალისტური სისტემის კრაზის ანალიზიც დიდი ამოცანაა. საზოგადოებას, მით უფრო უფროს თაობას, უფლება აქვს, იცოდეს, როგორი წყობილების პირობებში მოუწიათ ცხოვრება, რატომ მოიშალა და დაინგრა, რა მოვლით მომავალში?

მსოფლიოში ცნობილი იყო, რომ მარქსიზმი ერთადერთი მეცნიერული თეორიაა, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებას სწორად გადმოგვცემს, ახასიათებს კაცობრიობის წარსულის ძირითად ეტაპებს და რაც მთავარია, ასაბუთებს მომავლის ორიენტირების თავისებურებებს. მაშ, რაშია საქმე? რატომ არ განვითარდა ცხოვრება მათ მიერ დანახული გზით? ცდებოდა მარქსიზმი? ყოველივეს ახსნა სჭირდება.

მარქსიზმი სრულიად ლოგიკურად ასახავდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა დინამიკას, განვითარების ტენდენციებს. ყოველივე ეფუძნებოდა ურთიერთობათა მკაცრად დადგენილ სტრუქტურას, რასაც ბაზისისა და ზედნაშენის დიალექტიკური ერთობის სახით წარმოადგენდნენ. და თუ იგი მცდარი იყო, როგორ დაიჯერეს მისი მეცნიერულობა მილიონებმა მთელ მსოფლიოში? თუ მეცნიერულად სწორი იყო, რატომ მოხდა მისი კრაზი? მეცნიერებამ პასუხი უნდა გასცეს ამ კითხვებს, უნდა ამოხსნას დასმული გლობალური ამოცანა.



არანაკლები მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი განვითარების ხედვის საკითხს. დიდი ხნის განმავლობაში სწამდათ ადამიანებს, რომ მომავალი კომუნიზმია. რწმენის საკითხები კი სახუმარო საქმე არაა. განსაკუთრებით ისეთ ვითარებაში, როცა შერყეულია რელიგიური შეხედულებები.

საუკუნეების განმავლობაში ინერგებოდა საზოგადოებაში ღმერთის, საიქიო-სააქაოს ურთიერთმიმართების, სამოთხე-ჯოჯოხეთისა და მათთან დაკავშირებული იდეები. დღეს ეს რწმენა საფუძვლიანადაა სახეშეცვლილი. მას შემდეგ, რაც ადამიანმა კოსმოსის ათვისება დაიწყო, მთვარეზე „გაისეირნა,“ აღმოაჩინა დაფარული, შეისწავლა გალაქტიკის ბევრი საიდუმლოება და იქ ვერც ანგელოზებს გადაეყარა და არც ეშმაკებს, რელიგიურმა დოგმებმა თავისი გავლენა დაკარგეს. საიქაო ცხოვრების ნაცვლად კომუნისტური ცხოვრების დამკვიდრების იდეები საზოგადოებაში მომავლის იმედს წერგავდა. დღეს ეს იდეები მივიწყების სტადიაშია. ბევრი კვლავ რელიგიურობისკენ იხრება. მარქსიზმის კრახმა ამ პროცესს ხელი შეუწყო. რა იქნება ხვალ?

ადამიანები ყოველთვის ოცნებობდნენ სოციალურ-პოლიტიკური საკითხების სამართლიანი დარეგულირების შესაძლებლობაზე. არა მხოლოდ ოცნებობდნენ, პრაქტიკულადაც ცდილობდნენ მის რეალიზაციას. ასე იყო უძველესი დროიდან მოყოლებული. თავად მარქსიზმი მათი იდეების გათვალისწინებით შეიქმნა. დაინტერესებული პიროვნება უამრავ მაგალითს შეისწავლის ისტორიული წარსულიდან. თავად რელიგიური მოძღვრებანი თავდაპირველად სწორედ თანასწორუფლებიანობის იდეას ესადაგებოდნენ და ემსახურებოდნენ. ამას ემატებოდა ცალკეულ მოაზროვნეთა მტკიცებულებანი სამართლიანი ცხოვრების მოწყობის გზებსა და საშუალებებზე. მარქსიზმმა ყოველივე შეკრიბა, შეაფასა და ერთიანი სისტემის სახით დაუტოვა კაცობრიობას. დღეს მოძღვრების ეს ნაწილიც უარყოფილია. საკითხავია, ვინც თანასწორუფლებიანობაზე, სამართლიან ცხოვრებაზე ოცნებობდა, ყველა ცდებოდა? სა-



დღეისო ამოცანაა სიმართლეში გარკვევა.¹

3. მარქსიზმის სათავეები

საზოგადოების ერთმა ნაწილმა მარქსიზმი ისე „შეიყვარა“, „შეითვისა“ და დაადგა პრაქტიკული რეალიზაციის გზას, რომ შორს იყო მისი რეალური გაგებისაგან.

მართალი იყო კარლ მარქსი, როცა მიიჩნევდა, რომ ყოველ-დღიური საქმიანობით დაკავებულ ადამიანებს (მშრომელებს) არც დრო და არც საშუალება არა აქვთ, შექმნან განთავისუფლებისა და განვითარების მეცნიერული მოძღვრება. მშრომელების პოზიციების გამზიარებელმა მეცნიერებმა უნდა შეუქმნან მათ ასეთი თეორია.

რამდენადაც „სოციალისტური“ საზოგადოება მშრომელებისაგან შედგებოდა, ლოგიკურია, რომ ფართო მასებმა თეორიის მოთხოვნები არ იცოდნენ. სამწუხაროდ, სოციალისტური ქვეყნების ხელისუფლებაშიც მწირი იყო მარქსისტული მოძღვრების ელემენტების მცოდნეთა რაოდენობა. ხელისუფლება ეკუთვნოდათ ნიკიტა ხრუშჩოვის, ლეონიდ ბრეჟნევის, მიხეილ სუსლოვისა და მათ მსგავსთა „თეორეტიკოს მარქსისტებს.“ როგორი მცოდნეებიც იყვნენ, ისე მართეს ქვეყანა და ისეთ მარქსიზმს უნერგავდნენ საზოგადოებას.

1. იმის თქმა, რომ სოციალ-პოლიტიკური სამართლიანობის გარკვევა არავის უცდია, არასწორია. მარქსიზმის დამოკიდებულება ამ პრობლემებისადმი ბევრის მიერ იყო კვლევის ობიექტად აღიარებული. ავტორი ახლოს იცნობდა ერთ-ერთ ასეთ ავტორიტეტულ მკვლევარს. ბატონი გიორგი ალექსანდრეს ძე ბალათურია დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მოსკოვში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მარქს-ენგელის სექტორს. ასევე გ. პოპოვი ამბობდა სიმართლეს საბჭოების ყრილობაზე 1989 წელს, როცა ასაბუთებდა ცვლილებების აუცილებლობას და სხვა.

თავად ავტორი წლების მანძილზე იყო დაკავებული სპეციალურად მარქსიზმის კვლევით. 1969 წ. მიანოდა მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრ ე. ა. შევარდნაძეს მოკლე ნაშრომი ნეგატიურ მოვლენებთან დაკავშირებით. 1974 წ. წარადგინა მონოგრაფია „კ. მარქსი და ფ. ენგელსი კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის კანონზომიერების შესახებ.“ ამავე თემატიკას მოიცავს „პოლიტოლოგიის საფუძვლები“, „ფ. ენგელსი გასახელმწიფოებრიობის შესახებ“ და სხვა.



ამიტომ აუცილებელია თავად მოძღვრების მოკლედ წარმოჩენა.

პირველ ყოვლისა, ორიოდ წინადადებით თავად კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის შესახებ. საზოგადოებას ჩამოუყალიბდა შეხედულება ამ ორი პიროვნების განუმეორებლობის, უცოდველობის, ნახევრად მაინც ღმერთკაცობის შესახებ. მყარად იყო დავიწყებული კ. მარქსის სიტყვები: არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის.

ასევე შევხედოთ ამ ორ გამორჩეულ პიროვნებას. ეს გააადვილებს მათი მოძღვრების გაგებას. საზოგადოებისთვის კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის შემოქმედება ერთიანია. არასოდეს დამდგარა პრობლემა – ვინ მეტია, ვინ მეტი დაგვიტოვა, ერთმა თუ მეორემ. ყოველთვის ითქმებოდა მარქსიზმი, შეიძლება იმიტომ, რომ მარქსი უფროსი იყო, შეიძლება, გამოთქმის სიადვილის გამო. მოკლედ, ამ ორი პიროვნების ნააზრევი ერთიანია და არც ამ შემთხვევაშია მიზანი მათი დაცელება.

მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები მხოლოდ პიროვნების დახასიათებას ისახავს მიზნად.

1. კარლ მარქსი დაიბადა 1818 წლის 5 მაისს გერმანიის ქალაქ ტრიერში. ტრიერი ადრე საფრანგეთის შემადგენლობაში შედიოდა და, შესაბამისად, ქალაქის მოსახლეობაში განმათავისუფლებელი იდეები შედარებით ფართოდ იყო გავრცელებული.

კარლის ბიოგრაფები ხაზს უსვამდნენ მის ებრაულ წარმომავლობას, სინამდვილეში, ჯერ კიდევ მამამისი, ჰენრიხი იყო პროტესტანტულ ეკლესიაში მონათლული და მნიშვნელობას არ აქცევდა ეროვნულობას და რელიგიურობას.

მარქსი თავის თავს საზოგადოების წევრად მიიჩნევდა და არა, ვთქვათ, ინგლისური, გერმანული საზოგადოებისა და ა. შ.

ჰენრიხ მარქსი ქ. ტრიერის მაღალი წრის წარმომადგენელი, შეძლებული მოქალაქე და ცნობილი ადვოკატი იყო. მეზობლობა და მეგობრობა აკავშირებდა გერმანელ არისტოკრატ ლუდვიგ ფონ ვესტფალენტან. ვესტფალენტანს მდიდრული ბიბ-



ლიოთეკა ჰქონდათ და გიმნაზიელ კარლს მისით თავისუფალი სარგებლობა შეეძლო, რაც ნაყოფიერად გამოიყენა კიდეც. მოხდა ისე, იქ გაეცნო ლუდვიგის ქალიშვილ ჟენის, შეიყვარა და ცხოვრების განუყრელ მეგზურად აქცია. აქვე უნდა ითქვას, რომ ჟენი იყო არა მხოლოდ მეუღლე, შვილების დედა, არამედ პირადი მდივანიც. ცნობილია, რომ მარქსის საშინელ კალიგრაფიას ხშირად ავტორიც ვერ არჩევდა და ჟენის უხდებოდა მისი ნაწერების გადანერა. წარმოუდგენელი შრომა გასწია მან „კაპიტალის“ გადანერის დროს.

ბიოგრაფები წერენ: კარლი იზრდებოდა თავნება, ენერგიული და საღად მოაზროვნე. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ბონის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. სწავლობდა ადვილად. უფრო მეტ დროს ქეიფში ატარებდა. ამბობენ, მედუქნეები დარაბებს ხურავდნენ, როცა მთვრალ კარლს დაინახავდნენ. ლოთობდა, ჩხუბობდა და ორჯერ დუელშიც იყო დაჭრილი. მისი ცხოვრების ეს მხარე იმიტომ აღინიშნა, რათა გასაგები გახდეს მისი ადამიანობა.

ბონის უნივერსიტეტიდან კარლი 1837 წლს სასწავლებლად ბერლინის უნივერსიტეტში გადავიდა იურისპუდენციის შესასწავლად. მალე დაუახლოვდა ცნობილი ფილოსოფოსის გეორგ ვილჰელმ ჰეგელის მიმდევრების ჯგუფს, რომელსაც სათავეში ბრუნო და ედგარ ბაუერები ედგნენ. დაინტერესდა და იმ პერიოდისათვის მხურვალე ახალგაზრდა ჰეგელინელი გახდა, 1841 წელს დოქტორის ხარისხი მიანიჭეს.

ჰეგელი უდიდეს ფილოსოფოსად მიიჩნევა. ამტკიცებენ, რომ მან სათავე დაუდო მეცნიერების მრავალ დარგს. ლექციები ჰქონდა მძიმე, წყვეტილი. შეიძლება ლექციის პერიოდში აყალიბებდა შეხედულებას მეცნიერების ახალი დარგის შესახებ. უნივერსიტეტში მის საპირისპიროდ გამოჩნდა ახალგაზრდა იურისტი, ორატორული ნიჭის მქონე შტრაუსი. სწორედ მან გადაიბირა ჰეგელის მსმენელები. მიუხედავად ამისა, შტრაუსი ცოტა ვინმე იცის, ჰეგელი კი მსოფლიოში აღიარებული მეცნიერია.

ჰეგელს, სხვა სიკეთესთან ერთად, ეკუთვნის დიალექტიკის



კანონების ჩამოყალიბება. უფრო ზუსტად, დიალექტიკის ბუნებაზე ადრეც წერდნენ ძველი ბერძენი მოაზროვნეები, მაგრამ მწყობრი თვალსაზრისი ჰეგელმა ჩამოაყალიბა.

მარქსისტული დიალექტიკა ჰეგელის მიერ შექმნილ საფუძველზე დგას.

კარლ მარქსს მარჩენალი მამა ადრე დაეღუპა და იძულებული გახდა, მატერიალურ პირობებზე თავად ეზრუნა. ა, ძიებისას მოხვდა იგი ახალი რაინის გაზეთის რედაქციაში და მალე რედაქტორობაც მიიღო. რედაქციაში მუშაობის სპეციფიკამ უბიძგა პრაქტიკული ცხოვრებისეული საკითხებით დაინტერესებულყო. პროგრესული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული აზროვნების ახალგაზრდა გარემოებათა გავლენით რევოლუციური იდეების მატარებელი ხდება.

მხოლოდ ერთი საკითხი: ისიც იმიტომ, რომ ჩვენთან დღესაც მწვავედ დგას მსგავსი პრობლემა. იგი ეხებოდა გლეხების მიერ ტყით სარგებლობას. მესაკუთრეები და კანონმდებლობა გლეხებს უკრძალავდა ტყით სარგებლობას. თავისუფლად ფიჩხის გამოტანის უფლებაც არა ჰქონდათ. კ. მარქსი აღწერდა რა ასეთი მდგომარეობის უსამართლობას, მიუთითებდა: გლეხმა თუ ფიჩხი, ხმელი ხე ვერ გამოიტანა და მოიხმარა, გათბობას ვინ ჩივის, საჭმელს როგორ გააკეთებს, არადა, მათი შრომის გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებსო.

ამგვარი ცხოვრებისეული ტრაგედიები უბიძგებდა კ. მარქსს რევოლუციურად ეაზროვნა.

1842 წელს, გაზეთში რედაქტორად მუშაობის დროს, მოხდა, მისი პირველი შეხვედრა ენგელსთან.

II. ფრიდრიხ ენგელსი დაიბადა 1820 წ. 28 ნოემბერს მდიდარი გერმანელი კაპიტალისტის ოჯახში. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მამა მუდმივად ცდილობდა, შვილი კომერციული საქმიანობით დაეინტერესებინა. დედა, პირიქით, რელიგიური ქალბატონი, შვილის სასულიერო ხაზით განათლებაზე და მოღვაწეობაზე ოცნებობდა. ბედის ირონიაა, შვილს სულ სხვა იდეები იტაცებდა. ოჯახური აზრთა წიდილის შედე-



გი იყო, რომ ყმანვილმა გიმნაზია მიატოვა და კომერციული საქმეების შესწავლა დაიწყო. ამავე დროს იგი კორესპონდენტად იწყებს საქმიანობას შტუტგარტის დილის გაზეთში.

1841 წ. ფრიდრიხი სამხედრო სამსახურს გადის ბერლინში. პარალელურად ბერლინის უნივერსიტეტში ლექციების კურსს ისმენს ფილოსოფიის ხაზით. იქ დაუახლოვდა ახალგაზრდა ჰეგელიანელებს. დამოუკიდებლად შეისწავლა უცხო ენები: ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ **20 წლის ასაკში** თხუთმეტამდე უცხო ენას ფლობდა.

1842 წელს მამის მოთხოვნით მიემგზავრება ინგლისში, მან ჩესტერში, სადაც ოჯახს საფეიქრო ფაბრიკის ფილიალი ჰქონდა.

გერმანული პრაქტიციზმია, გამგზავრების წინ ფრიდრიხი მიდის რაინის გაზეთის რედაქციაში, რათა თანამშრომლობაზე შეუთანხმდეს. გაზეთის რედაქტორი იმ დროს იყო კარლ მარქსი, საკმაოდ შეჭირვებულად ცხოვრობდა და მდიდარი ახალგაზრდის მისვლას, რათა კომერციასთან ერთად ჟურნალისტური საქმიანობა დაკავებულყო, მასში ენთუზიაზმი არ გამოუწვევია. ისინი ცივად დასცილდნენ.

ფრიდრიხი ინგლისში მალე ახლოს გაეცნო როგორც კაპიტალისტური წარმოების თავისებურებას, ასევე მის საწინააღმდეგოდ აღმოცენებულ ჩარტისტულ (პროფკავშირულ) მოძრაობას. იმ პერიოდის სტატიებში აღწერდა კაპიტალიზმის დაუნდობელი ძალადობის სურათებს. იმ დროს ასევე მოქმედებდა გერმანული რევოლუციური მიმართულების ჯგუფი „სამართლიანთა კავშირი“. ენგელსი მალე ჯგუფის აქტიური წევრი ხდება და იწყებს კომუნიზმის რაობის შესწავლას. იმავე დროს წერს ეკონომიკურ-პოლიტიკური ხასიათის სტატიას გერმანულ-ფრანგული წელიწდეულისთვის. საფრანგეთში გამოშვებული ამ კრებულის ერთ-ერთი მოთავე და თანაავტორი **1844 წ.** კარლ მარქსი იყო. ამბობენ, ენგელსის სტატიამ ისეთი დიდი გავლენა მოახდინა, რომ იგი იწყებს კაპიტალისტური ურთიერთობების შესწავლას.



1844 წლის აგვისტოში ერთიმეორეს ცივად დაშორებული კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ერთმანეთს ხვდებიან პარიზში. მათ ბევრი იმსჯელეს, უთანხმოება დაივიწყეს, აზრები გაცვალეს, შეაჯერეს და გადაწყვიტეს ერთობლივი მოქმედება.

1845 წ. ენგელსი წერს მნიშვნელოვან ნაშრომს: „მუშათა კლასის მდგომარეობის ინგლისში“. მარქსი ამ ნაშრომის გაცნობის შემდეგ საბოლოოდ რწმუნდება კაპიტალიზმის ანატომიის ახსნის აუცილებლობაში. მან პრაქტიკულად მიატოვა ფილოსოფია და ხელი მოჰკიდა კაპიტალისტური წარმოებისა და წარმოებით ურთიერთობათა ღრმა შესწავლას. დაახლოებით ოცწლიანი შრომის შედეგად შეიქმნა მისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომი „კაპიტალი“. თავად ენგელსმა, როცა დაინახა მეგობრის დაინტერესება, მიატოვა, ეს სფერო და სხვა საკითხების ანალიზით დაკავდა, მაგრამ მანამდე, 1845 წელს ერთად დაწერეს „გერმანული იდეოლოგია“. ამ ნაშრომში მარქსმა და ენგელსმა ერთად (უკვე ერთად) კრიტიკულად შეაფასეს გერმანული (იმჟამად ყველაზე მონინავე და უახლესი) ფილოსოფიური აზროვნების მიღწევები და ამ საფუძვლებზე შექმნეს (ან საფუძველი დაუდეს) ორიგინალურ, თავიანთ დიალექტიკურ მატერიალიზმს.

იმ დროის მკვლევარებში მიღებული ჩვეულების მიხედვით, კი არ უკუთავდას ჰეგელის იდეალისტური თვალსაზრისი მექანიკურად, როგორც ამას მატერიალისტი ფილოსოფოსები აკეთებდნენ, არამედ შეინარჩუნეს, გაიზიარეს ის ჭეშმარიტების შემცველი, რასაც იძლეოდა ჰეგელის მოძღვრება დიალექტიკის კანონებისა და კატეგორიების შესახებ.

ჰეგელის იდეალიზმის უარყოფით და დიალექტიკის მიღებით შეიქმნა წინაპირობა ამ მეთოდით მატერიალური ყოფის შესწავლისა. დიალექტიკური მატერიალიზმის მოძღვრება საფუძვლად დაედო ისტორიული მატერიალიზმის თეორიას. თავის მხრივ ისტორიული მატერიალიზმის გამოყენებით შესაძლებელი გახდა საზოგადოების ისტორიისა და თანამედროვეობის მეცნიერული ანალიზი.



ფ. ენგელსმა მარქსთან შეთანხმებით მიატოვა რა კაპიტალისტური ურთიერთობების კანონზომიერებათა კვლევა, აქტიურად გადაერთო საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვა პრობლემების კვლევაზე.

ენგელსი და შემდეგ მარქსიც მჭიდროდ უკავშირდებიან ინგლისში არსებულ მუშათა ჯგუფებს: კრიტიკულად სწავლობენ ევროპული უტოპიური სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეებს. იმ დროს გავრცელებული „ყაზარმული კომუნიზმის“, ქრისტიანული კომუნიზმის, ფილოსოფიური კომუნიზმის კონცეფციები დიდ ყურადღებასა და ენერგიას მოითხოვდნენ.

ენგელსმა 1847 წელს კომუნისტთა კავშირისათვის ჩამოაყალიბა „კომუნიზმის პრინციპები“, რომლის საფუძველზე 1848 წელს მარქსთან ერთად დაწერა საყოველთაოდ ცნობილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი.“ ამას წინ უძღოდა წერილების სერია, სადაც ენგელსი იკვლევს მუშათა მძიმე მდგომარეობას. გამოითქვა აზრი პროლეტარიატის ისტორიული როლის შესახებ. იმავედროს აქტიურად იღწვოდა „მუშათა სამართლიანთა კავშირის“ ორგანიზაციისათვის. კომუნისტური პარტიის ჩამოყალიბებისათვის აქტიურად მონაწილეობდა 1848-1850 წწ. რევოლუციურ გამოსვლებში. იმ მოძრაობის გამოცდილება განზოგადებულია ნაშრომში 1852 წ. „რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში.“

იმავედროულად შეიმუშავა სამხედრო საქმის თეორიის, ისტორიის, რევოლუციური ბრძოლის ტაქტიკის საკითხები. მის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები ბევრად გვიან ვ. ლენინმა გაიმეორა და მასვე მიენერება შემუშავების პატივი (რევოლუციური სიტუაციის, აჯანყების წარმატების შესახებ).

ენგელსი იძულებული გახდა, დაჰყოლოდა მამის მოთხოვნებს და მუშაობა დაიწყო მანჩესტერში მამის ფირმაში. ამის აუცილებლობა განსაკუთრებით მარქსის ოჯახის გაჭირვებამ აიძულა. მარქსი, ძირითადად, დაკავებული იყო „კაპიტალის“ შექმნით და მშრომელთა საერთაშორისო რევოლუციური ცენტრის ინტერნაციონალის ორგანიზებით.



1883 წელს კარლ მარქსი გარდაიცვალა. ენგელს იძულებული ხდება, დაამთავროს „კაპიტალის“ II და III ტომები, შემდეგ შეკრიბოს კრიტიკული აზრები ზედმეტი ღირებულების შესახებ და IV ტომი შექმნას.

1884 წელს დაწერა „ოჯახის, კერძო საკუთრების, სახელმწიფოს წარმოშობა,“ სადაც ახსნა საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერება.

1886 წელს დაწერა „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული.“

1894 წ. „გლახთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში“ დაასაბუთა წვრილი გლახური ურთიერთობების კაუპერიზაციის გარდაუვალობა.

არა მხოლოდ მსხვილტანიანი ნაწარმოები, პატარა სტატიებში, პირად წერილებში გაბნეულია ბევრი ისეთი იდეა, რომლის გარეშე ნამდვილი თეორიის გაგება გაძნელებოდა.

1895 წ. ენგელსი გარდაიცვალა. იმ დროისათვის მარქსისტულმა მოძღვრებამ უკვე დასრულებული სახე მიიღო. ამ მოძღვრების ნაწილის წარმოჩენაა წინამდებარე ნაშრომის მიზანი.



4. მარქსიზმი

საზოგადოების ანატომია

ადამიანთა ცხოვრებისა და განვითარების ისტორია რთული და ხანგრძლივი პროცესია. ამას თავად ადამიანის არსებობის სირთულე განაპირობებს. პირველ ყოვლისა იგი კოლექტიური არსებაა. ადამიანები ყოველთვის ერთად ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ საზოგადოებას.

რათა ეარსებათ და ცხოვრება განვეითარებინათ. მათ უნდა ჰქონოდათ შესაბამისი უნარი. ესაა მათი ფიზიკური ძალა და გონებრივი მოსაზრებულობა ერთიანობაში აღებული.

თეორია მთლიანის ამ ორ მხარეს შესაბამისად წარმოადგენს როგორც ფიზიკურ მოღვაწეობას და სულიერ ცხოვრებას. ადამიანმა უნდა იარსებოს, მატერიალური მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს, რათა შეძლოს სულიერი მოთხოვნილებების რეალიზება. მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საფუძველია ადამიანური ცხოვრებისათვის.

თეორია ამ წინაპირობას სასიცოცხლო მოთხოვნილებას უწოდებს. იგი სამი ელემენტისგან შედგება: საკვები, ჩასაცმელი, საცხოვრებელი, რათა სასიცოცხლო მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. ადამიანმა თავისი შესაძლებლობა (უნარი) უნდა გამოიყენოს. მეცნიერება ამ უნარს სამუშაო ძალას უწოდებს.

მხოლოდ სამუშაო ძალა საკმარისი არაა, რათა რაღაცა შექმნას. საჭიროა შრომის იარაღი. ადამიანის სამუშაო ძალის (უნარის) ერთობას შრომის იარაღთან უწოდებს მისი საწარმოო ძალა. საზოგადოების მოცულობით მას საზოგადოებრივი საწარმოო ძალები ეწოდება. მათი ზემოქმედებით გარემო ბუნებაზე მიიღება გარკვეული შედეგი.



ითქვამს, რომ ადამიანი საზოგადოებრივი, კოლექტიური არსებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ შორის ყოველთვის მყარდება გარკვეული ხასიათის ურთიერთობანი. ურთიერთობანი მრავალი სახისა შეიძლება იყოს და, შესაბამისად, მრავალფეროვანი.

რამდენადაც სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ყველაფერი ადამიანურის საფუძველი, ამდენად, ძირითადია ის ურთიერთობანი, რაც მყარდება წარმოების პროცესში. მთლიანობაში წარმოება შედგება ორი მხარისგან: საწარმოო ძალები (იტყვიან: მწარმოებელი ძალები) და წარმოებითი ურთიერთობანი.

მეცნიერება მწარმოებლურ ძალებს მიიჩნევს წამყვან მხარედ (არსად), წარმოებით ურთიერთობებს ფორმად. მიჩნეულია, რომ მწარმოებლური ძალების ხასიათი განსაზღვრავს წარმოებით ურთიერთობათა ხასიათს. მათ შორის უნდა იყოს აუცილებელი შესაბამისობა. თუ იგი ირღვევა, ნიშნავს, საჭიროა ცვლილებების განხორციელება.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს შესაბამისობაში ყოფნას.

ისტორიულად საზოგადოებრივი ცხოვრება ადასტურებს ამ ჭეშმარიტებას.

მწარმოებლურ ძალებს უსაზღვრო ზრდის ტენდენცია ახასიათებს. საზოგადოებას არ შეუძლია არ იმოქმედოს, არ აწარმოოს. სხვანაირად ადამიანები ვერ იარსებებენ. მწარმოებლური ძალების ზრდა შეიძლება ერთი წერტილიდან გამოსულ სხივს შედარდეს. იგი მანძილის მიხედვით ფართოვდება.

სხვანაირია წარმოებით ურთიერთობათა ბუნება. იგი დიდხანს ინარჩუნებს დამკვიდრებულ ხასიათს.

გამოდის, რომ მწარმოებლურ ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ერთობა ცვალებადია. მწარმოებლური ძალები მუდმივად განვითარებაში ასწრებენ ურთიერთობებს და თუ მათი ერთობა ირღვევა, აუცილებელი ხდება ურთიერთობათა ახალი ფორმის დამკვიდრება.

წარმოებით ურთიერთობათა ფორმას განაპირობებს წარმოების საშუალებებზე საკუთრების ხასიათი.



ადამიანთა ურთიერთობის ისტორია ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დიდი ხნის განმავლობაში ისინი წარმოებს არ იცნობდნენ, მომპოვებელი საქმიანობით ირჩენდნენ თავს. თანდათან ჩნდება საკუთრებითი ურთიერთობანი. პირველ რიგში იგი შრომის იარაღებს ეხება. ხდება ადამიანთა სამუშაო ძალის შეერთება შრომის საშუალებებთან და იწყება წარმოების პროცესი.

იყო ხანგრძლივი პერიოდი საკუთრების გაუაზრებელი არსებობისა. გააზრებული საკუთრება კერძო ხასიათის მატარებელია. ისტორიულად იყო უამრავი მცდელობა კერძო საკუთრების შეზღუდვისა, მოსპობისა და საერთო-საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრებისა. ბოლო და მოცულობითი მცდელობა ე. წ. სოციალისტურ ქვეყნებთანაა დაკავშირებული.² საზოგადოებრივი ურთიერთობანი მრავალსახოვანია. ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და ა. შ. თეორიის მიხედვით, ძირითადი წარმოების პროცესში ჩამოყალიბებული ურთიერთობებია. საბოლოო ანგარიშით იგი განაპირობებს სხვა ურთიერთობათა ხასიათს.

ითვლება, რომ როგორცაა წარმოების საშუალებებისადმი საკუთრებითი დამოკიდებულება, ისეთივეა წარმოებითი ურთიერთობანი. წარმოებით ურთიერთობათა ერთობა მწარმოებელურ ძალებთან ქმნის წარმოების წესს. იგი განაპირობებს მთლიანად საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათს.

ისტორიულად, ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე, როგორც იყო მატერიალური დოვლათის შექმნის წესი, ისეთი იყო ცხოვრება. ამის მიხედვით თეორია საზოგადოებრივ წარსულს ჰყოფდა პირველყოფილ თემურ, მონათმფლობელურ, ფეოდალურ და კაპიტალისტურ წყობილებებად (ფორმაციებად). აქედან მიჩნეული იყო, რომ პირველყოფილი თემური ფორმაციის დროს ხდება წარმოების საშუალებათა შექმნა, მათი გააზრება და ამ გზით კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული პირველი წყობილების დამკვიდრება.

2. ე. წ. სოციალისტური რევოლუციებისა და სისტემის ანალიზი არის მიზანი. ამ პროცესების ახსნაა ძირითადი ამოცანა.




გამოვიდა, რომ მწარმოებლურ ძალთა განვითარებამ განსაზღვრა მონათმფლობელური წყობილების დამკვიდრება. ცხოვრების გარკვეული პერიოდი მონათმფლობელურ კერძო საკუთრებას მორგებული იყო მონათმფლობელური წარმოებითი ურთიერთობები.

მწარმოებლური ძალების განვითარების კვალობაზე ეს ურთიერთობანი მოძველდნენ, შემაფერხებელ ფაქტორად იქცნენ და საზოგადოებრივი პროგრესის მოთხოვნილებათა ძალით ადგილი დაუთმეს ახალ ბატონყმურ ურთიერთობებს.

ბატონყმური (ფეოდალური) ურთიერთობანი ჩაისახა და განვითარდა მონათმფლობელური წყობილების წიაღში. როდესაც ძველი ეკონომიკური პროგრესის ბორკილად გადაიქცა, მოხდა გადასვლა ახალ (ფეოდალურ) წარმოებით ურთიერთობებზე.

თავის მხრივ კაპიტალისტური ურთიერთობანი ისახება და ვითარდება ფეოდალიზმის წიაღში. როდესაც შესაძლებლობებით, განვითარების აუცილებლობით ძლიერდებიან, იწყებენ ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევას, რაც ბოლოს ბურჟუაზიულ რევოლუციებში ჰპოვებს გამოსახულებას. ფეოდალიზმი ადგილს უთმობს კაპიტალიზმს.

მეცნიერულ სიზუსტეზე პრეტენზიის გარეშე, წყობილებათა დაბადება, ზრდა, მომწიფება, კვდომის პროცესი და მონაცვლეობა შეიძლება ასე გამოისახოს.



1. პირველყოფილი თემური წყობილება, 2. მონათმფლობელობა, 3. ფეოდალიზმი, 4. კაპიტალიზმი.

მარქსიზმს ასეთი სქემა საზოგადოებრივი წარსულისა არ მოუცია, მაგრამ მოძღვრება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების შესახებ სხვანაირად ძნელად წარმოიდგინება.



მეცნიერება ყოველ წყობილებას განიხილავს ცოცხალი ორგანიზმის სახით, სადაც ყოველი იბადება ძველის წიაღში. განვითარების რალაც ეტაპზე ცვლის ძველს. თავის მხრივ მის შიგნით ისახება და ვითარდება ახალი და ა. შ. განვითარება და ცვლილება ხდება დიალექტიკის კანონების მოქმედების გზით ცხოვრებაში, წყობილებაში, მიმდინარეობს თვისობრიობის რაოდენობრივი ცვლილება (არა მექანიკური რაოდენობრივი, არამედ თვისობრიობის რაოდენობრივი. ეს შედარებით რთული აღსაქმელია. ვთქვათ, წყლის თვისობრივი ცვლილება დამოკიდებულია არა წყლის რაოდენობაზე, არამედ წყლის, როგორც ასეთი ნივთიერების ცვლილებაზე. მაგალითად, წყლის, როგორც სითხის გაციების დროს იგი ყინულად გადაიქცევა, ხოლო გაცხელების დროს – ორთქლად. ნათელია, რომ წყლის, როგორც თვისობრივად სითხის ტემპერატურული რაოდენობრივი მოცემულობის ცვლილება იწვევს მის სხვა თვისობრიობაში გადასვლას. ეს საყოველთაოდ ცნობილი მაგალითი მარტივად ხსნის რაოდენობრიობის (და არა რაოდენობის) თვისობრიობაში გადასვლის პროცესს. ანალოგიურად, წყობილების თვისობრიობის რაოდენობრივი ცვლილება იწვევს მის სხვა თვისობრიობაში გადასვლას. ასე მიმდინარეობდა წყობილებათა ცვლა საუკუნეების მანძილზე.

მარქსიზმის მთავარი მეცნიერული მემკვიდრეობა – „კაპიტალი“ ამავე პრინციპებით ხსნის ცნობილი ბოლო წყობილების ანატომიას.

თქმა ადვილია და ძალზე რთულია. მეცნიერება კაპიტალისტურ წყობილებას განიხილავს, როგორც ბოლო ეტაპს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ბატონობის ფარგლებში, ბოლო წყობილებას (ფორმაციას), რომელიც კერძო საკუთრებაზეა დაფუძნებული.

მთავარია, რომ ამ წყობილების ბუნების რეალურ (და არა ზედაპირულ) გაგებასთანაა დაკავშირებული პრობლემის ახსნა (ამოცანის ამოხსნა). ამდენად, პრინციპული მნიშვნელობა აქვს კაპიტალიზმის ანატომიის ცოდნას.



მეცნიერება გვეუბნება, რომ ხელოსნობა უძველეს დროში ყალიბდება. ასევე ძველ დროში ჩნდება ფული. ფულად-სასაქონლო ურთიერთობანი, როგორც წყობილების წამყვანი, გაბატონებული ფორმა, მხოლოდ კაპიტალიზმს ახასიათებს. ეს ფორმა კი ბურჟუაზიული რევოლუციების შედეგად აღწევს გაბატონებულ მდგომარეობას.

მონათმფლობელობის დროს საკითხი ნათელი იყო. მონა-ხელოსანი ბატონის კუთვნილება იყო, რომელიც აიძულებდა, ემუშავა მის სასარგებლოდ. ფეოდალიზმის პირობებში ყმა-ხელოსანი ვალდებული იყო, ბატონისთვის გადასახადი ეძლია და გარკვეული დრო თავის სასარგებლოდ ემუშავა. სხვანაირადაა საქმე კაპიტალისტურ წყობილებაში: მუშა-ხელოსანი პოლიტიკურად თავისუფალია, სანაცვლოდ, ეკონომიკურადაა დამოკიდებული და იძულებულია, იმუშაოს კაპიტალისტის სასარგებლოდ.

პოლიტიკური თავისუფლება მშრომელთა დიდი მიღწევაა, მაგრამ მთავარია ეკონომიკა. ცხოვრებაში პოლიტიკა და ეკონომიკა განუყრელ მთლიანობას ჰქმნიან, ერთი მეორის გარეშე არ არსებობს. ამასთან წამყვან მხარეს ეკონომიკა წამოადგენს. ამიტომ უწოდებენ პოლიტიკას ეკონომიკის კონცენტრირებულ გამოხატულებას. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები პოლიტიკას აწყდებიან და იქმნება შთაბეჭდილება პოლიტიკის უპირატესი მნიშვნელობის შესახებ. ამას პოლიტიკის მარგანიზებული ორგანიზაციების აქტიური მოქმედება აფიქრებინებს. სახელმწიფო, პარტიები, სამართლის სისტემა იპყრობენ ადამიანთა გონებას და მისი უპირატესი როლის შთაბეჭდილებას ჰქმნიან. სინამდვილეში პოლიტიკა, სახელმწიფო, პოლიტიკური ორგანიზაციები არ შეიძლება უფრო მეტი (მაღალგანვითარებული, სხვა თვისებების მქონენი) იყოს, ვიდრე არის ეკონომიკა და კულტურა ქვეყნის მოსახლეობისა.

თეორიის თანახმად, საზოგადოების დიდი ნაწილის პოლიტიკური თავისუფლება, უფლება – იმუშაოს ან არა, იმუშაოს ამა თუ იმ კონკრეტულ კაპიტალისტთან, გარეგნულად



ტოვებს თავისუფლების იერს. მთავარია, რამდენ ხანს შეუძლია პიროვნებას ამ თავისუფლების შენარჩუნება. შრომისა და ხელფასის გარეშე რამდენ ხანს შეუძლია არსებობა მას და მის ოჯახს. საბოლოო შედეგად, ადამიანი ეკონომიკურად იძულებულია, გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა (ფიზიკური და გონებრივი უნარი, ცოდნა) და ამ გზით დაიკმაყოფილოს სასიცოცხლო მოთხოვნილებანი (იგულისხმება საკუთარი მე და ოჯახის წევრები).

ყოველი ადამიანი, ვისი ბედიც დამოკიდებულია ხელფასზე (არა აქვს მნიშვნელობა, იგი უპირატესად ფიზიკურად შრომობს თუ გონებრივად), რეალურად წარმოადგენს დაქირავებულ მუშას, ჩაბმულია დაქირავებული შრომის სისტემაში და ამდენად, დაჩაგრულის მდგომარეობაში იმყოფება.

თეორია საზღვრავს ექსპლუატატორის და ექსპლოატირებულის მდგომარეობას. საზოგადოების შიგნით ეკონომიკურ პროცესებს შემდეგი ციკლები (პროცესები) ახასიათებს:

მთავარია წარმოება. სადაც არაფერი იწარმოება, იქ ადამიანებს შორის გასანაწილებელიც არაფერია. წარმოების შემდეგ ხდება განაწილება. განაწილებით მიღებული შემდეგ გაცვლის სფეროში გადადის. ადამიანმა რაც განაწილებით მიიღო, ის შემდეგ შეუძლია, სხვა რამეზე გაცვალოს. გაცვლა ხდება მოხმარების საგნების (საშუალებების) მიღების მიზნით. სხვა პროცესები, სხვა ციკლები არ არსებობს. აქედან გამომდინარე, საზოგადოებაში დასადგენია, საიდან წარმოიშობა ზედმეტი ღირებულება, სადაა საზოგადოების ნაწილის სიმდიდრის წყარო.

თეორია ადასტურებს, რომ მოხმარების პროცესში ახალი და, მით უფრო, ზედმეტი ღირებულება არ იქმნება. არც გაცვლის პროცესში ხდება მისი შექმნა. განაწილების დროს (ისევე, როგორც მოხმარებისა და გაცვლის), თუ ეს პროცესები სამართლიანად წარიმართა, ადგილი ექნება უკვე წარმოებული პროდუქციის მოძრაობას. ახალი ამ პროცესების დროს არ იქმნება.



სინამდვილეში ისე არაა, რომ ყველაფერი შრომის მიხედვით, სამართლიანად იყოფოდეს და მოიხმარებოდა.

პირველ რიგში ეს განაწილებას ეხება. წარმოებული პროდუქტის განაწილება რომ სამართლიანი იყოს, კაპიტალისტს არ ექნებოდა ინტერესი, რამე ეწარმოებინა, უფრო მეტიც, ის კაპიტალისტიც ვერ გახდებოდა. არავინ შექმნიდა სანარმოს, დაიქირავებდა მუშებს, აწარმოებდა პროდუქციას, თუ იგივეს მიიღებდა შედეგად, რაც დახარჯა. ის ყველაფერს აკეთებს მოგებისთვის. მოგება საიდან უნდა მიიღოს? მოგება შეიძლება მიიღოს იმ შემთხვევაში, თუ მუშები ქმნიან უფრო მეტი ღირებულების პროდუქციას, ვიდრე ღებულობენ ხელფასს. წარმოებული პროდუქციის ღირებულება მიღებულ ხელფასზე ბევრად მეტია. ეს კი ნიშნავს, რომ განაწილება სამართლიანი არაა.

რეალურ ცხოვრებაში სამართლიანობა არაა არც მოხმარების სფეროებში, თუმცა იქ ახალი ღირებულება არ იქმნება. ყველგან ჩადებულია არასამართლიანი მოგების სურვილი. საბოლოოდ გამოდის, რომ წარმოების პროცესში შექმნილი პროდუქტის ღირებულება იცვლება და იზრდება იმდენად, რომ მწარმოებელ მუშას მისი შეძენა და მოხმარება არ შეუძლია. ასეთ შემთხვევაში დგება ვითარება, როცა შექმნილი პროდუქტი მის შემქმნელს უპირისპირდება.

თეორიის მიხედვით, ფულად-სასაქონლო ურთიერთობა, რომელსაც თავისუფალი წარმოების (სხვანაირად – კაპიტალისტური, ბურჟუაზიული და ა. შ.), ურთიერთობად მიიჩნევენ, რეალურად არასამართლიანი, ყაჩაღური ძარცვის, მოტყუების ხასიათის მატარებელია.

ყველაზე მარტივი კითხვა: როცა ადამიანი რაღაცას ყიდულობს, არა მოხმარების, არამედ შემდგომი გაყიდვის მიზნით, ცხადია, ამას მოგებისთვის სჩადის. თუ იმავე ფასად გაყიდის, როგორც იყიდა, ცხადია, მოგება არ დარჩება და ბოლოს გაკოტრდება. ის ყიდვა-გაყიდვის პროცესში ახალ ღირებულებას (პროდუქტს) არ ქმნის, მოგებას კი იღებს. რატომ?

წამდვილი ზედმეტი ღირებულება იქმნება მხოლოდ წარ-



მოების პროცესში, დანარჩენი ყველაფერი არის უსამართლობის შედეგი.

მოგება არის სიმდიდრის წყარო. მოგებას, გამდიდრებას ემორჩილება და ემსახურება ყველა პროცესი, რაც ფულად-სა-საქონლო ურთიერთობებს ეხება. არა აქვს მნიშვნელობა, ამ ურთიერთობებს კაპიტალიზმს უწოდებენ, სოციალიზმს, დემოკრატიულ წყობილებას, თავისუფალი მენარმეების საზოგადოებას თუ სხვა რამეს.

ისტორიულად, დიდი ხნის მანძილზე მიაჩნდათ, რომ სიმდიდრის წყარო ადამიანის მოქმედების სფეროს გარეთაა. ვთქვათ, ადამიანი მდიდარია, რადგან მას აქვს მიწა, ტყე, მდინარე და ა. შ. XVIII საუკუნის თეორეტიკოსებმა დაასკვნეს, რომ თავისთავად არც ტყე არის სიმდიდრის წყარო და არც სხვა რამ. ლოგიკურად განსაჯეს: თუ მიწა არ დაამუშავე, ტყე, წიაღისეული არ გამოიყენე, ვერ გამდიდრდები. ოქროს ზოდებიც რომ ეწყოს მიწაში, თუ არ ამოთხარე და მოიხმარე, ის სიმდიდრის წყარო ვერ გახდება. გამოდის, რომ სიმდიდრის წყარო არის შრომა. უნდა იშრომო, მიწა დაამუშაო, ტყე მოიხმარო, ოქრო ამოთხარო და ა. შ. ნიშნავს, უნდა იშრომო, რომ გამდიდრდე.

მარქსიზმამდე მიჩნეული იყო, რომ სიმდიდრის წყაროა შრომა. ამავე დროს, იყო ცალკეული მიხვედრები. ადამიანები დაახლოებით თანაბარი სამუშაო ძალის მქონენი არიან. ერთმა შეიძლება მეორეზე ორჯერ მეტი სამუშაო ძალა დახარჯოს, შეიძლება სამჯერ მეტი, მაგრამ ასჯერ და ათასჯერ გამოირიცხება. შესაბამისად, თუ შრომაა სიმდიდრის წყარო, ერთი შეიძლება მეორეზე ორჯერ, სამჯერ მდიდარი იყოს და არა ისე, როგორც ცხოვრებაშია: ერთი მილიონერი, სხვები ლატაკები. გამოდის, რომ შრომა არ განსაზღვრავს სიმდიდრეს.

მოაზროვნეთა ასეთ აზრებს მარქსიზმმა დაუმატა მხოლოდ ერთი სიტყვა. ამ სიტყვის დასაბუთებას კი დასჭირდა ოცი წლის კატორღული შრომა და ცნობილი „კაპიტალის“ ოთხი მსხვილტანიანი ტომი. შედეგად, მეცნიერულად იქნა დასაბუთებული, რომ უბრალოდ შრომა კი არაა სიმდიდრის წყარო, არამედ



სხვისი შრომა. მენარმე ქირაობს რა მუშებს, ხელფასის სახით მათ უხდის არა შექმნილი პროდუქტის სრულ ღირებულებას, არამედ მხოლოდ ნაწილს. მშრომელების მიერ წარმოებული ღირებულების ნაწილი არის ზედმეტი ღირებულება, რომლის ანაზღაურება არ ხდება. მენარმე ითვისებს წარმოებული პროდუქციის აუნაზღაურებელ ნაწილს და ღებულობს მოგებას.

მითითება სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე, რობოტების და ა. შ. გამოყენებაზე, არამართებულია, რადგან არ არსებობს ტექნიკური საშუალება, რომელიც ადამიანის მიერ არ იყოს შექმნილი. ცალკეულ მშრომელებთან მიმართებაში ასეთი დასკვნა, შეიძლება, მართებულია, მაგრამ საზოგადოებრივი მოცულობით არასწორია. თეორია კი ეყრდნობა არა ცალკეულ მაგალითებს, არამედ მთლიანად საზოგადოებრივ მოცემულობას.

ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა დამკვიდრება წინაფეოდალურ (ბატონყმურ) წყობილებასთან შედარებით ძალზე პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ თავისუფლების, სამართლიანობის ისეთ მიღწევად ვერ ჩაითვლება, როგორადაც მას ხელისუფლებები წარმოადგენენ. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფ. ენგელსი წერდა, რომ უფულობა აბეჩავებს ადამიანს. ფულით შეგიძლია სხვისი ცოლი, შვილი იყიდო და ასეც ხდება. რაც შეეხება დიდი ფული უფრო მეტად რყვნის ადამიანს. ფულის ასეთი მხარე კი მიჩქმალულია. სწორედ ასეთმა მდგომარეობამ უბიძგა კ. მარქსს დაეწყო წყობილების ანატომიის კვლევა, რასაც შედეგად მოჰყვა საყოველთაოდ აღიარებული ნაშრომის – „კაპიტალის“ შექმნა.

მოდღვრება ხაზს უსვამს ეკონომიკისა და პოლიტიკის ერთიანობას. არ არსებობს ეკონომიკა პოლიტიკის გარეშე და პირიქით, პოლიტიკა ეკონომიკის გარეშე. ეს ერთის ორი მხარეა, მათი დიალექტიკური ერთიანობაა.

ცხოვრება ადასტურებს ამ დებულების ჭეშმარიტებას. არ არსებობს მდიდარი ადამიანი, რომელსაც არ ჰქონდეს პოლიტიკური ამბიციები და არ მონაწილეობდეს პოლიტიკურ



სფეროში პირდაპირ ან ირიბად, დაქირავებულთა მეშვეობით. ზუსტად ასევე, არ არსებობს პოლიტიკოსი, რომელიც ეკონომიკურ (მატერიალურ) კეთილდღეობას არ მიესწრაფებოდეს აშკარად ან ფარულად.

ჯერ კიდევ ფ. ენგელსის სიცოცხლეში (1895 წლამდე) იქმნებოდა მრავალი სახის კონცეფციები, რომელთა მიზანი არსებული წყობილების სამართლიანობის დასაბუთება იყო და ამისდა მიუხედავად, ცხადი იყო წყობილების შინაგანი წინააღმდეგობრივი ხასიათი.

ვერავინ უარყოფდა იმ რეალობას, რომ წარმოებას აქვს საზოგადოებრივი ხასიათი. მითვისება (განაწილება) კი კერძო ხასიათის მატარებელია. განაწილება დაქირავებულ მშრომელებზე ხდება შრომის (სამუშაო ძალის ხარჯვის) მიხედვით, მფლობელებზე (დამქირავებლებზე) კი კაპიტალის მიხედვით. ესაა წყობილების ძირითადი წინააღმდეგობა. კერძო საკუთრების ბატონობის პირობებში არავინ აკონტროლებს და იცის რა სახის პროდუქტი იწარმოება და რა რაოდენობის. წარმოება საზოგადოების მასშტაბით ანარქიულია. ამასთან საზოგადოებრივი წარმოების ანარქიულობას უპირისპირდება მკაცრი გეგმიურობა ცალკეული საწარმოების მოცულობით. წარმოების ანარქიულობა იწვევს კონკურენტულ ბრძოლას. კონკურენტები კი ბრძოლის ფორმებს არ არჩევენ საკუთარი წარმატებისთვის. ამ საქმეში ყველაფერი მისაღებია, თვით ხელისუფლების მოსყიდვის ჩათვლით.

მოკლე დასკვნის სახით ითქმება, რომ ფულად-სასაქონლო ურთიერთობანი მრავალი წინააღმდეგობების შემცველია, უსამართლოა და განვითარების რაღაც ეტაპზე დაიღუპება. კაპიტალიზმის შეცვლა ახალი წყობილებით გარდაუვალია, მაგრამ როდის? განვითარების რა დონეს (ეტაპს, სტადიას – სახელწოდება მრავალია) უნდა მიაღწიოს წყობილებამ, რომ მისი დაღუპვა და ახლის დაფუძნება აუცილებელი გახდეს?

საინტერესო მდგომარეობაა.. დღევანდლობას, მსოფლიო მეცნიერებასამაზე პასუხი არა აქვს. ცოტა ხნის წინ მიიჩნე-



ვდენ, რომ მსოფლიოში არის ორი სისტემა: კაპიტალისტური და სოციალისტური. კაპიტალისტური მოძველებული და სოციალისტური მომავალი. იყო დიდი იდეური ბრძოლა ამ სისტემათა დახასიათების საქმეში. ასევე იყო ე. წ. კონვენციის თეორიები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ რეალურად ამ სისტემებს (წყობილებებს) უფრო მეტი საერთო აქვთ, ვიდრე განმასხვავებელი. ამ ნიადაგზე იქმნებოდა ფრანგული, შვეციური, სკანდინავიური სოციალიზმის თეორიები. სოციალისტური ქვეყნების სისტემათა შეცვლის შემდეგ ეს ყველაფერი დასრულდა. თანამედროვე პირობებში მიღებულია ახალი სახელი: თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოება ანუ არც მთლად კაპიტალიზმი და არც მთლად სოციალიზმი. ერთიცაა, მეორეცაა და ამ დროს არც ერთია და არც მეორე. მაშ, რა არის? რა გაიგოს რიგითმა ადამიანმა?

კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ასეთ შედეგს მხოლოდ ერთი ადამიანი ითვალისწინებდა. ეს იყო ფრიდრიხ ენგელსი. რომ არ გამოვიდეს ლიტონი სიტყვა, მოკლედ გასახსენებელია მისი დასკვნები. ძნელი არაა. საკმარისია დაინტერესებულმა დაკვირვებით წაიკითხოს ფ. ენგელსის ნაშრომის „ანტიდიურიზმი“ თეორიული ნაწილი. რას ნახავს იქ მკითხველი? ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა (კაპიტალიზმის) უმაღლესი მიღწევების შესაძლებლობათა დახასიათებას.

სიმარტივისათვის: საყოველთაოდ ცნობილია, რომ კაპიტალიზმი (ფულად-სასაქონლო ურთიერთობანი) გადის განვითარების რიგ საფეხურებს: 1. მარტივი კოოპერაცია, 2. მანუფაქტურული წარმოება, 3. მანქანური წარმოება, 4. მონოპოლისტური კაპიტალიზმი, 5. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი.

დღეს მონინავე ქვეყნები სწორედ ამ საფეხურზე არიან. ითვლება, რომ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი, სხვანაირად (ჰუმანურად, დაფარულად და შესანიღბად) თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოება არის სამართლიანობის განსახიერება და ალტერნატივა არ გააჩნია.



სამწუხაროდ, ერთადერთი, ვინც ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმს უნდა ჰქონდეს განვითარების კიდევ ერთი საფეხური, იყო ფ. ენგელსი. რას ამბობდა იგი?

1. მიწის ნაციონალიზაცია არის ბურჟუაზიის (კაპიტალისტების) სანუკვარი ოცნება. მართალია, გარკვეულ პირობებში ისინი იძენენ მიწას და მემამულეს ემსგავსებიან, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, ნაციონალიზაციის მომხრენი არიან. მიწის ნაციონალიზაცია არის კაპიტალიზმის უმაღლესი მიღწევა.
2. კაპიტალისტური განვითარება მიაღწევს წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების დამყარებას, სახელმწიფო მონოპოლიის განხორციელებას.
3. წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრება, ლოგიკურად გამოიწვევს წარმოების გეგმიურობას.

ეს სამი მახასიათებელი ნიშნავს კერძო საკუთრების ლიკვიდაციას კერძო საკუთრების ფარგლებში. კერძო ინდივიდუალური თუ კოლექტიური (მონოპოლისტური) საკუთრება ადგილს დაუთმობს კერძო-სახელმწიფო საკუთრებას. ამას მოჰყვება კერძო მენარმეთა (კაპიტალისტთა) გადაქცევა სახელმწიფო მოხელეებად. გარეგნულად ყველა იქნება სახელმწიფოს დაქირავებული მუშაკი. ღია დაპირისპირება კაპიტალისტებსა და მშრომელებს შორის, დამქირავებლებსა და დაქირავებულებს, ექსპლუატატორებსა და ექსპლოატირებულებს შორის გაქრება (შეინიღება). სინამდვილეში საზოგადოება გაიყოფა ორ კლასად: 1. ერთიანი კაპიტალისტთა კლასი – ადამიანთა ის ნაწილი, რომელიც განაწილებისას ღებულობს არა შრომის, არამედ თანამდებობის, პასუხისმგებლობის მიხედვით. რაც მთავარია, მიღებულ პრივილეგიათა და მაღალი ხელფასების წყალობით, მათი ბედი ხელფასზე არაა დამოკიდებული; 2. ერთიანი მუშათა კლასი – ადამიანთა ის ნაწილი, რომელთა ბედი ხელფასზეა დამოკიდებული.

ასეთ საზოგადოებაში წარმოება იქნება გეგმიური, მაგრამ დაუინტერესებლობის გამო, გეგმები ან არ შესრულდება, ან შესრულდება უხარისხო პროდუქციის შექმნის გზით. საბ-



ოლოოდ, მისი მოხმარება გარანტირებულია, რადგან სახელმწიფო მონოპოლიის პირობებში სხვა არ იარსებებს.

ერთიანი კაპიტალისტთა კლასი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მართვის სისტემას გაჰყოფს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ნაწილებად. საკანონმდებლო სფეროში დაშვებული იქნება დემოკრატიის ისეთი მოთხოვნა, როგორცაა არჩევნები. საკანონმდებლო ხელისუფლების არჩევნები გაიმართება პერიოდულად, მაგალითად, როგორც ახლანა ჩვენში – ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ.


რეალურად, ეს იქნება არჩევნების კომედია, რადგან აირჩევენ გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს, რომელთაც არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ სანაცვლოდ, მათ მიეცემათ მაღალი ხელფასები, ეკონომიკური და პოლიტიკური პრივილეგიები, რაც მათ ლოიალურ დამოკიდებულებას განაპირობებს.

ნამდვილი კლასობრივი ძალაუფლება კონცენტრირებული იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში, ამ სფეროში კი მოხდება თანამდებობის პირთა დანიშვნა ზევიდან ქვევით. ამასთან ხელფასები და პრივილეგიები განაწილდება არა შრომის, არამედ თანამდებობრივი პასუხისმგებლობის მიხედვით.

გარეგნულად ყველა სახელმწიფოს მიერ დაქირავებული მუშაკი იქნება, სინამდვილეში საზოგადოება დაიყოფა ერთიან კაპიტალისტთა და ერთიან მუშათა კლასებად.

წყობილების განვითარების ასეთი მაღალი საფეხური იქნება იმის მომასწავებელი, რომ კაპიტალისტურმა წყობამ მიაღწია მის ბოლო, მეექვსე საფეხურს და ქმნის წინაპირობას ახალ წყობილებაზე გადასასვლელად.³

ისევე, როგორც ფორმაციათა ცვლა, კაპიტალისტური განვითარების საფეხურებიც შეიძლება გრაფიკულად გამოისახოს:



3. ამ საკითხებზე იხ. ავტორის ადრე მითითებული ნაშრომი.



I. თავისუფალი კონკურენციის ფაზა შედგება სამი საფეხური-საგან: მარტივი კოოპერაცია, მანუფაქტურა, მანქანური წარმოება.

II. მონოპოლისტური კაპიტალიზმის ფაზა შედგება სამი საფეხური-საგან: მონოპოლისტური კაპიტალიზმი, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი და სახელმწიფო კაპიტალიზმი.

მარქსიზმის ეს თეორიული გათვლა ხდებოდა იმ დროს, როცა მონინავე ქვეყნებში მიმდინარეობდა გადასვლა პირველი ფაზიდან მეორეში. მონინავე ქვეყნებში (ინგლისი, გერმანია, აშშ) იქმნებოდა მონოპოლიები. თავისუფალი კონკურენცია ადგილს უთმობდა მონოპოლიათა ბატონობას. თეორიულად ეს ნიშნავდა იმას, რომ კაპიტალიზმს წინ ჰქონდა განვითარების ხანგრძლივი დრო და საფეხურები.

XIX საუკუნის ბოლოს მარქსიზმი უკვე საყოველთაოდ აღიარებული მოძღვრება იყო და მუშათა პარტიები აქტიურად მოღვაწეობდნენ მისი დებულებების პრაქტიკული განხორციელებისათვის. ფ. ენგელსი ამიტომ აფრთხილებდა რევოლუციონერ-თეორეტიკოსებს და ამბობდა: ისეთ განუვითარებელ ქვეყანაში, როგორც გერმანიაა, მუშათა რევოლუცია რომ მოხდეს, ერთადერთი, რასაც მიაღწევენ, იქნება სიღარიბის თანაბარი განაწილება. სილატაკის განაწილების დროს კი კვლავ აღმოცენდება ის უსამართლობა, რომლის წინააღმდეგაც მოხდება რევოლუცია. მშრომელები ირწმუნებენ, რომ სოციალისტურმა (კომუნისტურმა – ეს იგივეა) რევოლუციამ მათ თანასწორუფლებიანობა კი არ მოუტანა, არამედ ისეთივე უმსგავსობა, რომლის წინააღმდეგაც იბრძოდნენ. საბოლოო ანგარიშით, ასეთი სოციალიზმი (კომუნიზმი) მშრომელებს რწმენას დააკარგვინებს. ამიტომ განუვითარებელ გერმანიაში სოციალისტური რევოლუცია ძალზე ადრეა და უპერსპექტივო.

ფ. ენგელსის მიერ 1895 წელს გამოთქმული ეს გაფრთხილება საგულდაგულოდ იქნა მივიწყებული, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში, როცა მისი წინასწარმეტყველება მათემატიკური სიზუსტით ახდა ე. წ. სოციალისტური ქვეყნების მაგალითზე,



შესაძლებელი ხდება სიმართლის გახმაურება.

ცხადია, პატარა სტატია მოძღვრების ყველა საკითხს ვერ შეეხება. მათ შორის ისეთი დებულებებია გვერდავლილი, რომელთა გარეშე ამოცანა სრულად განხილულად ვერ ჩაითვლება. იმედად ის რჩება, რომ ადრეგამოქვეყნებულ ნაშრომებში მათი ახსნაა მოცემული. აქ მხოლოდ დასახელებულია კაპიტალისტური წყობილების ის ბოლო საფეხური, საიდანაც შეიძლება და მოხდეს ახალ წყობილებაზე გადასვლა.

ასევე ითქმება, რომ მარქსისათვის სოციალიზმი და კომუნიზმი სინონიმებია, ერთი და იგივეა. იგი წარმოების საშუალებების საზოგადოებრივ საკუთრებაზე დაფუძნებული პირველი ფორმაციაა და არა ბოლო. ეს სხვა ეპოქაში და სხვათა მიერ ხდება ტერმინთა (სახელწოდებათა) „დაზუსტება“, „გამიჯვნა“, „სხვადასხვა შინაარსით აღჭურვა“ (ვთქვათ, ქალსაც შეიძლება კაცის სახელი უწოდო, მაგრამ ამით იგი კაცად ვერ გარდაიქმნება).

მარქსიზმის რიგი დებულებების „სხვანაირი“ ახსნა ან სულაც მივიწყება უკავშირდება XX საუკუნეს და იგი ლენინიზმის სახელითაა ცნობილი.



5. ლენინიზმი

დიდი ხნის განმავლობაში ე. წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში და მსოფლიოში მიჩნეული იყო, რომ ლენინიზმი მეოცე საუკუნის მარქსიზმია. იმდენად მყარად იყო დამკვიდრებული ეს აზრი, რომ მკაცრი ცენზურის პირობებში ოდნავ განსხვავებული მოსაზრებაც კი იდევნებოდა, იჩქმალეზბოდა, ისჯებოდა.⁴

ოფიციალურად ლენინიზმი, შემდეგ სტალინიზმიც, მარქსისტული მოძღვრების ლოგიკურ გაგრძელებად და პრაქტიკულ განხორციელებად ითვლებოდა. ცხადია, იყვნენ მცოდნე და გამგები ადამიანები, რომლებიც ხვდებოდნენ სიმართლეს. ასეთი, ხელისუფლების მიერ გზააბნეულად გამოცხადებული ადამიანების რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა გამოჩენილი ავანტიურისტის ნ. ხრუშჩოვის იმპერატორობის დროს.

XX საუკუნის ბოლოს ე. წ. სოციალიზმის კრახი ავტომატურად მარქსიზმზეც გავრცელდა. ლოგიკურია: თუ არსებული, თანაც განვითარებული „სოციალიზმი“, იმის ნაცვლად, რომ „ძირმომპალი“ კაპიტალიზმისთვის განვითარებაში გაეხსნო, ჩამოიშალა და ერთბაშად ჩვეულებრივ კაპიტალიზმად გარდაიქმნა, დაისვას კითხვა: წყობილებასთან ერთად მარქსიზმმა განიცადა თუ არა კრახი? თავისთავად ცხადია, თუ ყველაფერი თეორიული და პრაქტიკული, რაც სოციალისტურ ქვეყნებში მარქსიზმის სახელით ხორციელდებოდა, მართლაც, მარქს-ენ-

4. ავტორს 1969 წ. დამთავრებული ჰქონდა ნაშრომი „კ. მარქსი და ფ. ენგელსი კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის კანონზომიერების შესახებ“ (ცხადია, რუსულ ენაზე, რადგან ასეთი სახის ნაწარმოები მოსკოვის პრეროგატივა იყო). 1974 წ. ნაშრომი „მოლენინზმდა“, დაემატა საბჭოთა სოციალიზმის მცირე ქება, ბურჟუაზიულ თეორიათა აუცილებელი კრიტიკა და ისე წარედგინა. ამის მიუხედავად, ნაშრომი აკრძალულ ლიტერატურაში მოხვდა, ავტორი „გადარჩა“.



გელსს უკავშირდებოდა, მაშინ პრაქტიკული „მარქსიზმის“ კრაზი თეორიული მოძღვრების კრაზსაც მოასწავებდა. თუ მარქსიზმის პრინციპებსახორციელებდნენ და ამ პრინციპებმა არ გაამართლა, ცხადია, პრინციპების სიმრუდეა მარცხის საფუძველი.

პრაქტიკულად, ასე ისმის საკითხი: დამნაშავეა თუ არა მარქსიზმი იმაში, რაც ხდებოდა და რითაც დასრულდა „სოციალიზმის“ მშენებლობა საერთოდ და მათ შორის ჩვენს სამშობლოში?

შეკითხვის საპასუხოდ მოკლედ ჩამოითვლება ძირითადი, რითაც მარქსიზმი განსხვავდებოდა ლენინიზმისგან. წამკითხველი კი იოლად მიხვდება რაშია ერთობა-სხვაობა.

პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, მატერიალისტური დიალექტიკის შემქმნელი მარქს-ენგელსი ობიექტურად აფასებდნენ რეალურ სამყაროს თუ სუბიექტური, ვოლუნტარისტული და იდეალისტური იყო მათი მიდგომა. ვრცელი ფილოსოფიური განსჯის გარეშე უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში არავის ეჭვი არ შეუტანია „კაპიტალის“ შემქმნელი კ. მარქსის და „ბუნების დიალექტიკის“ შემქმნელი ფ. ენგელსის კვლევების ობიექტურობაში, მათი მსოფლმხედველობის მატერიალისტურობაში.

ასევე ვ. ლენინი ითვლებოდა მათი იდეების მეცნიერული სინამდის დამცველად და გამგრძელებლად. შეიძლება, ბუნების მოვლენების განხილვისას, იგი, მართლაც, მატერიალისტურ პოზიციებზე იდგა, მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებათა გარკვევისას, აშკარად იკვეთება სუბიექტივიზმი და იდეალიზმი. პრობლემის არსში ჩაუღრმავებლად ისმის ვ. ლენინის იდეალისტ-მატერიალისტობის თანაფარდობის საკითხი. იყო იგი იდეალისტი, თუ არა? თუ ჰო, რამდენად იქნებოდა იგი მარქსისტი?

მარქსიზმი ამტკიცებდა: საზოგადოებრივ განვითარებას აქვს კანონზომიერება, რომლის შეცვლა, ადამიანთა სუბიექტური სურვილის შემთხვევაში, შეუძლებელია. საყოველთაოდ



ცნობილია, რომ კლასებისა და კლასთა ბრძოლის ფაქტის არსებობა ჯერ კიდევ ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა დაასაბუთეს. ამ მხრივ, მარქსიზმის დამსახურება ის არის, რომ კლასთა ბრძოლის კონცეფცია პროლეტარიატის (დაქირავებულ მუშათა) ისტორიულ როლს დაუკავშირა.

ვ. ლენინი საბჭოთა კავშირში აღიარებული „მარქსისტი“, თავიდანვე ემიჯნებოდა მოძღვრებას ამ საკითხში. მარქსიზმი მიიჩნევდა, რომ მხოლოდ დაქირავებულ მუშათა კლასს შეუძლია უკლასო საზოგადოებაზე გადასვლა. ყველა სხვა კლასი მეტ-ნაკლებად კერძო საკუთრებასთანაა დაკავშირებული და, ამდენად, რეაქციულ ძალას წარმოადგენდა, მათ შორის – გლეხობა. ნვრილი გლეხობაც მათ მიწის კერძო საკუთრებასთან დაკავშირებულ და, ამდენად, სოციალიზმისთვის (კომუნიზმისთვის) რეაქციულ ძალად მიაჩნდათ.

რუსეთის იმპერიაში, ფეოდალურ, გლეხურ ქვეყანაში, „ხალხოსნურ“ იდეებზე აღზრდილი ვ. ლენინი გლეხობას სოციალისტური იდეებისათვის მებრძოლ ძალად მიიჩნევდა. ქვეყანაში, სადაც 165 მილიონი მოსახლიდან პროლეტარიატი სულ 1,4 მილიონს შეადგენდა, საერთოდ, დაქირავებულები (გამყიდველები, მოსამსახურენი და ა.შ.). 10 მილიონს სოციალისტური რევოლუციის არავითარი სოციალური საფუძველი არ არსებობდა. იმპერიაში იყვნენ ხალხოსნური ტერორისტული დაჯგუფებები, რომლებსაც მარქსიზმზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ამ მოძრაობის მონინავე წარმომადგენელმა გ. პლესხანოვმა ხელი მოჰკიდა მარქსიზმის შესწავლას. ვ. ლენინმა მისი მეშვეობით განიზრახა ახალი, პოპულარული მოძღვრების ათვისება და ბრძოლა გლეხურ ქვეყანაში, არარსებული პროლეტარიატის ინტერესებისათვის.

იმ დროს, როცა გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე (1895 წ.) ფ. ენგელსი აფრთხილებდა გერმანელ რევოლუციონერებს სოციალისტური რევოლუციის შეუძლებლობის შესახებ, ვ. ლენინი ამტკიცებდა გლეხობის სოციალისტური ბუნების არსებობას და მუშებთან კავშირში სოციალიზმის დამყარების



შესაძლებლობას (1894 წ.).

იმ დროს, როცა ფ. ენგელსი შეუძლებლად მიიჩნევდა სოციალიზმის განხორციელებას პროლეტარიატის გადაწყვეტ კლასობრივ ძლად გადაქცევის გარეშე, კაპიტალიზმის განუვითარებლობის პირობებში, ვ.ლენინი ამტკიცებდა, რომ რუსეთში უკვე ვითარდება კაპიტალიზმი და სოციალიზმზე გადასვლაც შესაძლებელიაო. მან 1899 წ. დაწერა ნაშრომი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, სადაც ასაბუთებდა ბატონ-ყმურ ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარების რეალობას. მისი აზრით, რუსეთში, მართალია, პროლეტარიატი სუსტი და მცირერიცხოვანია, მაგრამ არც ბურჟუაზიაა ძლიერი და განვითარებული. დიდი „მარქსისტი“ ვ. ლენინი არ თუ ვერ ითვალისწინებდა ფ. ენგელსის გაფრთხილებას. ეს უკანასკნელი კი სწერდა: რევოლუციონერი, რომელიც იმის იმედითაა, რომ მართალია კაპიტალიზმი განუვითარებელია და პროლეტარიატი სუსტი, სანაცვლოდ, არც ბურჟუაზიაა მრავალრიცხოვანი და ძლიერი, – ჯერ კიდევ საჭიროებს მარქსიზმის ანბანის შესწავლასო. იდეალისტი ვ.ლენინი მარქსისტობდა, მარქსიზმის უკუგდების ვითარებაში.

მარქსიზმი ასაბუთებდა, რომ ნებისმიერი წყობილება არ შეიძლება იმაზე მეტი (სხვანაირი) იყოს, ვიდრე არის ეკონომიკა და კულტურა ხალხისა. ბუნებრივია, იგულისხმებოდა წარმოების საშუალებების განვითარება და წარმოებით ურთიერთობათა დონე (წარმოების კულტურა) და არა ცეკვა-სიმღერისა. ამიტომ ფიქრობდნენ, რომ სოციალიზმზე გადასვლა შეიძლება მომხდარიყო მას შემდეგ, რაც კაპიტალიზმი ამოწურავდა წინსვლის შესაძლებლობას. თვით კაპიტალიზმის განვითარების საფეხურების გამოტოვება მიაჩნდათ შეუძლებლად. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწინავე ქვეყნები დაეხმარებოდნენ ჩამორჩენილს, მას შეეძლო აუცილებელი საფეხურის სწრაფად გავლა და არა გამოტოვება.

ვ. ლენინისხვანაირად საზღვრავდა. იგი ფეოდალური რუსეთის სოციალიზმის გზაზე დაყენებას მიიჩნევდა შესა-



ძლებლად. კაპიტალიზმის საფეხურის კი არა, წყობილების გამოტოვების გზით. ბევრად გვიან აღიარა მან: ბატონყმობა ქალაქებში მოვსპეთ 1905 წ. რევოლუციის დროს, ხოლო სოფლად, მხოლოდ 1920 წელსო. მსჯელობა კაპიტალიზმის მოსპობაზე ჩრდილში რჩებოდა (ხატოვანი შედარებისთვის: ვ. ლენინი ფიქრობდა, რომ შესაძლებელია 5-6 წლის ბავშვების შეუღლება და მათ დამოუკიდებლად უნდა მართონ ოჯახი).

არც ისეა საქმე, რომ ვ. ლენინს არაფერი მარქსისტული არ მოსწონდა. კერძოდ, რევოლუციის პერმანენტულობის საკითხი მისთვის მისაღები აღმოჩნდა.

მარქსიზმი მიიჩნევდა, რომ თავისი არსით კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა, თუნდაც იგი მშვიდობიანად განხორციელდეს, მაინც რევოლუციაა. რეალურად, წარმოების საშუალებების კერძო საკუთრებაში არსებული წყობილებიდან, საზოგადოებრივ საკუთრებაზე გადასვლა რევოლუციას გულისხმობს. ამასთან, რევოლუცია იქნება პერმანენტული (განუწყვეტელი) და შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვანაირად: 1. რევოლუცია დაიწყება ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანაში და იგი გაგრძელდება 10-15-25 წელი, სანამ არ მოხდება ძველი წყობილების ლიკვიდაცია და სოციალიზმის (კომუნისმის) საბოლოო დამკვიდრება; 2. რევოლუცია გაიმარჯვებს ერთდროულად რამდენიმე მოწინავე ქვეყანაში; 3. რევოლუცია შეიძლება დაიწყოს შედარებით სუსტად განვითარებულ ქვეყანაში, მან ბიძგი მისცეს მოძრაობას მაღალგანვითარებულ ქვეყნებში და რევოლუციამ გაიმარჯვოს მეტ-ნაკლებად ერთდროულად. ცალკე აღებულ ერთ ქვეყანაში კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში გამარჯვება (საბოლოო) გამოირიცხება.

ვ. ლენინისათვის მისაღები იყო პერმანენტული რევოლუციის ეს მესამე ვარიანტი. ფიქრობდა: რუსეთი დაიწყებს, გერმანია, ინგლისი და ა. შ. გააგრძელებენ და რევოლუცია ერთბაშად გაიმარჯვებს დიდ სივრცეში. ამიტომ, სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, დაიწყეს 1920 წ. ომი პოლონეთთან. რომარა დიდი მარცხი ვარშავის მისადგომებთან, საბჭოთა



წითელი არმია გერმანიასაც „მიეხმარებოდა“ რევოლუციის მოწყობაში.

მარქსიზმი მიიჩნევდა, რომ სოციალისტური რევოლუცია მოხდებოდა, როცა კაპიტალიზმი ამონურავდა განვითარების შინაგან შესაძლებლობას ე. ი. სახელმწიფო კაპიტალიზმის საფეხურზე. ამ პერიოდში პროლეტარიატის მათგან იზრდებოდა და წარმმართველი იქნებოდა პარტია. პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების შემდეგ პარტია დაიშლებოდა და ადგილს პროლეტარიატის დიქტატურის ხელისუფლებას დაუთმოდა. პარტია მათ დროებით ბრძოლის საშუალებად მიაჩნდათ.

ვ. ლენინი პარტიის არსებობას სხვა მნიშვნელობას ანიჭებდა. პარტია უნდა ყოფილიყო სოციალისტური სახელმწიფოს წარმმართველი ძალა. თვით პროლეტარული სახელმწიფო უნდა ყოფილიყო პარტიის ნების აღმასრულებელი (ის, რაც მოხდა საბჭოთა კავშირში).

მარქსისტული თეორიის თანახმად, სოციალისტური რევოლუციის პროცესში დამყარდებოდა პროლეტარიატის დიქტატურა. ამ საკითხს კარგი გაგება სჭირდება. თეორიის მიხედვით, სახელმწიფო კლასობრივი ბატონობის იარაღია. ბურჟუაზიული სახელმწიფო რეალობაში კაპიტალისტთა დიქტატურაა, თუმცა მას ზეკლასობრივი ინტერესების დამცველად წარმოადგენენ. რევოლუციის პროცესში ბურჟუაზიის დიქტატურას ცვლის პროლეტარიატის დიქტატურა. იგი გამოდის ნახევარსახელმწიფოდ. ექსპლუატატორებთან მიმართებაში კლასობრივი ბრძოლის იარაღია, მშრომელებთან მიმართებაში მონაპოვრის დაცვისა და სახალხო მეურნეობის გაძლიერების საშუალება. ამასთან, ბურჟუაზიის ლიკვიდაციის პროცესში მისი საჯარო (პოლიტიკური) ფუნქციები იკვეცება და რჩება მეურნეობის განვითარება.

ვ. ლენინი, პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანებს აერთიანებდა პოლიტიკური პარტიის ამოცანებთან და წვრილ-გლეხურ, კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარ



ქვეყანაში. მას სოციალიზმის დამკვიდრების მთავარ საშუალებად მიიჩნევდა. დიქტატურა მისთვის მკაცრი, სისხლის შემცველი სიტყვა იყო, რომელსაც ევალებოდა ძველი წყობილების დაუნდობელი მოსპობა.

თუ მარქსიზმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა-კაპიტალისტური ეკონომიკის მაღალ განვითარებულობას და წარმოების ურთიერთობათა მაღალ კულტურას, ვ. ლენინისათვის არსებითი პროლეტარიატის (იგულისხმება პარტიის) დიქტატურის დამყარება იყო. დიქტატურის მეშვეობით უნდა მომხდარიყო ძველი წყობილების ლიკვიდაცია, ეკონომიკის განვითარება და წარმოებით ურთიერთობათა კულტურის ამაღლება.

მარქსიზმი მიიჩნევდა, რომ, როგორც კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წყობილებები (ფორმაციები) შეიძლება იყოს სხვადასხვა (მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალილსტური), ასევე სოციალისტური (კომუნისტური) ფორმაციები იქნებიან განსხვავებულები. ვ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომის 24 თავის მე-7 პარაგრაფია ამ მხრივ საყურადღებო. ეს ნიშნავს, რომ სოციალიზმი (კომუნიზმი) სულაც არ წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარების საბოლოო საფეხურს. განვითარება იქნება მუდმივი, მიღწეული ყოველი საფეხური (სტადია, ფორმაცია და ა. შ.) წარმავალი. მარქსისტმა ედვარდ ბერნშტიინმა ეს პროცესი ასე წარმოადგინა: მოძრაობა წინ იქნება აბსოლუტური, საბოლოო შედეგი ფარდობითი.

ვ. ლენინმა ვერ თუ არ გაიგო ნათქვამის რეალური აზრი და მწარედ დასცინა ე. ბერნშტიინს. ნახეთ რას ამბობს: მოძრაობა ყველაფერია, საბოლოო შედეგი – არაფერი. როგორ თუ არაფერი, ჩვენი საბოლოო მიზანი კომუნიზმია.

ვ. ლენინის მიხედვით გამოდიოდა, რომ კომუნიზმი იქნებოდა ერთხელ და სამუდამოდ პროლეტარიატის დიქტატურის მიერ დამყარებული წყობილება.

მარქსიზმის თანახმად, თავდაპირველი საფეხური (წყობილება, ფორმაცია) კომუნიზმისა მიაღწევდა ადამიანთა სა-



სიცოცხლო მოთხოვნილებების უფასო დაკმაყოფილებას. ეს კი ნიშნავდა საკვების, ჩასაცმელის, ბინის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ობიექტურად მოაზროვნე დაეთანხმება, რომ ადამიანთა მოთხოვნილებანი უსაზღვროა და მომავალში უფრო მრავალფეროვანი გახდება. შესაბამისად, მზარდი მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება პრაქტიკულად შეუძლებელია. მისწრაფება ამისა იქნება, შედეგი კი ყოველთვის ნაკლოვანი.

მარქსიზმი ასევე მიიჩნევდა, რომ სასიცოცხლო მოთხოვნილებათა უფასო დაკმაყოფილება გახდება წინაპირობა შრომის განთავისუფლებისა და ადამიანურ ცხოვრებაზე გადასვლისა.

თეორია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა აუცილებელი სამუშაო დროის შემცირებას და თავისუფალი დროის ზრდას. საფუძვლად სამუშაო დროის გაგება იყო აღებული. სამუშაო დრო დღეს სხვანაირად იანგარიშება. ითვლება, რომ სამუშაო დრო რვა საათით შემოიფარგლება. თეორიის თანახმად ასეთი განსაზღვრება არასწორია. სამუშაო დრო ბევრად ფართე ცნებაა, ვიდრე ოფიციალურ სამსახურში გატარებული რვა საათი. სინამდვილეში სამუშაო დროში შედის სამსახურში წასვლის, იქ შესვენების და უკან წამოსვლის დრო. ამას ემატება საკვების მოპოვებისა და მიღების, სამსახურში წასვლისათვის მომზადების, დახარჯული ენერჯიის აღდგენის, კვალიფიკაციის ამაღლების დრო და ყველაფერი ის, რის გარეშეც ადამიანი ყოველდღიურად სამსახურში რვა საათს ნაყოფიერად ვერ გამოიყენებს. ყოველივეს ემატება კიდევ ერთი აუცილებელი – ძილის დრო და რა რჩება ადამიანს ამის შემდეგ? რჩება თავისუფალი დრო? საფიქრალია, რომ არა. ადამიანური ცხოვრება მარქსიზმისათვის ყოველმხრივი ფიზიკური და გონებრივი განვითარების პირობების შექმნას გულისხმობს. როდის, რა ვითარებაში შეძლებენ ადამიანები ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას, ეს საკითხთა საკითხია. ამიტომაც თავისუფალი დროის ზრდის კანონი უმთავრესი.

ჩვენთვის და ჩვენნაირ მდგომარეობაში მყოფი ერებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ეროვნული საკითხის



მარქსისტული გაგება. იგი ერთი წინადადებით გამოითქმება: არაა თავისუფალი ერი, რომელიც სხვას ჩაგრავს. ამ დასკვნის თანახმად, ერი, რომელიც სხვებზე ბატონობს, პირველ რიგში, თავადაა ჩაგრული და საჭიროებს გათავისუფლებას. მოკლე განმარტებაა აუცილებელი: ერი რთული ფენომენია. იგი შედგება მცირერიცხოვანი გაბატონებული კლასისგან და დიდი უმრავლესობა ჩაგრული მასისგან. მჩაგვრელი ერის გაბატონებული ნაწილი ჩაგრავს და ძარცვავს პირველ რიგში საკუთარი ერის დიდ უმრავლესობას. პარალელურად, ჩაგრული უმრავლესობის გამოყენებით იპყრობს, იმონებს, ჩაგრავს სხვა ერებს. ამ ვითარებიდან გამომდინარე, ჩაგრულმა ერმა ხელი უნდა შეუწყოს მჩაგვრელი ერის ჩაგრული უმრავლესობის გამოღვიძებას, დარაზმვას, ბრძოლას საკუთარი მჩაგვრელი კლასის წინააღმდეგ. როცა ჩაგრული უმრავლესობა აღსდგება საკუთარი მჩაგვრელების წინააღმდეგ, მაშინ ჩაგრულ ერს მიეცემა თავისუფლების მოპოვების შესაძლებლობა. სხვა შემთხვევაში ჩაგრული ერის ბრძოლა შეიძლება უშედეგო აღმოჩნდეს, გაღებული მსხვერპლის ოდენობის მიუხედავად.⁵

ვ. ლენინის თვალსაზრისი ეროვნულ საკითხში ძალზე განსხვავებული გახლდათ. მიიჩნევდა რა თავს რუსად, დიდი რუსი ერის შვილად და წარმომადგენლად, იგი თავის კონცეფციას ასე აყალიბებდა: რამდენადაც ევროპის მოწინავე მოაზროვნეების მიერ დამკვიდრებული იყო დებულება მრავალეროვანი იმპერიების დროგასულობაზე, აღიარებული იყო ერთა თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება. ვ. ლენინი სიტყვიერად მის პროგრესულობას აღიარებდა. იგი არაერთგზის აცხადებდა, რომ ემხრობა ერთა თვითგამორკვევის უფლებას და არა რეალურ გამოყოფას.

იგი მიიჩნევდა, რომ რადგანაც ეროვნულად ქრელი

5. მხოლოდ მოგონებისთვის. 1968 წ. მიწურულს და 1969 წ. იანვარში ორჯერ დაინტერესდა ზვიად გამსახურდია ეროვნული საკითხის მარქსისტული გაგებით. პრინციპი მისაღებად, ბრძოლის ტაქტიკა მიუღებლად მიიჩნია. ამ წინადაგზე საკმაოდ ცივად დავცილდით. მომავალმა დაგვანახა მარქსიზმის პოზიციის სისწორე. უცნობია მან შეცვალა თავისი რადიკალიზმი თუ არა.



სახელმწიფო მოძველებულია, უვარგისია, საჭიროა ასეთი სახელმწიფოს არა დაშლა, არამედ მცირე ერების ასიმილაციის დაჩქარება. ისე, როგორც ამას მეფის ნაცვალის ვორონცოვი აკეთებდა საქართველოში. ისე, როგორც მოხდა „შერწყმა, შედუღება, ასიმილირება“ აშშ-ში.

მისი აზრით, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ (ამაში მას ეჭვი არ ეპარებოდა) დიდი (ხალხმრავალი) სახელმწიფოები შექმნიდნენ მსოფლიო ფედერაციულ სოციალისტურ სახელმწიფოს. ფედერაციის ყოველი წევრი დააჩქარებდა მცირე ერთა ასიმილაციის პროცესს. ამ მიზნით მცირე ერების ბედი ისე უნდა მოწყობილიყო, რომ არც ერთ მათგანს არა ჰქონდა ეროვნული სახელმწიფოს შექმნის რეალური უფლება. მათ დასაწყისისათვის მიეცემოდათ ადმინისტრაციული ავტონომია. ტერიტორიულად ავტონომიას არ ექნებოდა მკვეთრად დაფიქსირებული საზღვრები. მის ფარგლებში რაც შეიძლება მეტი ეროვნების წარმომადგენლები უნდა მოხვედროდნენ, რაც აუცილებელს გახდიდა დიდი ერის ენის გამოყენებას ურთიერთობაში. ეს დასაწყისში. შემდეგ მოხდებოდა მათი ლიკვიდაცია-ასიმილირება დიდ ერთან.⁶

შენიშვნა: ნაშრომის მიზანი არის მარქსიზმის და ლენინიზმის განმასხვავებელი ნიშნების ანალიზი. რაც ითქვა, საკმარისად ნათელყოფს სხვაობას მათ შორის. ერთია მარქსიზმი, მეორე – ლენინიზმი.

უმთავრესი, რაშიც ვ. ლენინი ეთანხმებოდა მარქსიზმს, იყო ფულად-სასაქონლო ურთიერთობების ლიკვიდაცია. მარქსიზმი მიიჩნევდა, რომ სანამ საზოგადოებრივი ურთიერთობები შეიძლება აიგოს ფულად-სასაქონლო სახით, სოციალიზმი ვერ დამყარდება. ვერც დროის ეკონომია ანუ თავისუფალი დროის ზრდა ვერ გახდება ძირითადი კანონი. არადა, რეალურად რა

6. უფრო დეტალურად ამ პრობლემების შესახებ მსჯელობა ავტორის ნაშრომებში და დაინტერესებულ მკითხველს საშუალება აქვს მათი გაცნობისა. ორი ნაშრომი „ვ. მარქსი და ფ. ენგელსი, პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ“ და „ვ. მარქსი და ფ. ენგელსი კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის შესახებ.“ არის ხელნაწერის უფლებით. ვ. ლენინის თვალსაზრისია ეროვნულ საკითხზე ნაშრომში „რევოლუციური ანექსია“.



წარმოადგენს ადამიანის დიდ ბედნიერებას, სიმდიდრეს თუ არა დრო?

დღეს სიმდიდრე იზომება ფულით, ძვირფასი ლითონით (ოქრო, ვერცხლი) და ბრილიანტით. ისაა მდიდარი, ვისაც ბევრი ფული აქვს და შეუძლია შეიძინოს რაც სურს (სხვისი ცოლის და შვილის ჩათვლით). სინამდვილეში, უკვე დღეს, თუ ადამიანი მატერიალურად დაკმაყოფილებულია, სასიცოცხლო მოთხოვნილებანი აქვს უხვად, მათთვის ბრძოლა (შრომა) არ უწევს, შეუძლია დაკავდეს სხვა, მისთვის საინტერესო საქმით, უფრო მდიდარია და თავისუფალი.

ადამიანის ყველაზე დიდი სიმდიდრეა დრო, რომელიც ბუნებამ მისთვის გამოიმეტა. დღევანდელ მახინჯ, უსამართლო კაპიტალისტურ ცხოვრებაში, როცა ადამიანს უწევს ბრძოლა არსებობისათვის, ის ითვლება მდიდრად, ვისაც მეტი ფული აქვს. არა აქვს მნიშვნელობა რა გზით, რა მეთოდებითაა იგი მოპოვებული. სხვაზე მეტის ქონა ითვლება ბედნიერებად. ამ მოჩვენებითი ბედნიერებისათვის კარგიბუნების ადამიანიც კი ბოროტ მხეცად, მძარცველად ევლინება საზოგადოებას. ამავე დროს ადამიანები არ უკვირდებიან, რაშია ნამდვილი ბედნიერება. მილიარდი, ტრილიონიც რომ ჰქონდეს ადამიანს, დროს ვერ იყიდის, უკვდავი ვერ გახდება. მისი ბრძოლით, ძარცვით, სხვათა ჩაგვრით მოპოვებული „სიმდიდრე“ სიცოცხლეს ვერ მატებს.⁷

ვ.ლენინი ეთანხმებოდა მარქსისტულ დასკვნას, რომ სოციალიზმი არ შეიძლებოდა დაფუძნებული ყოფილიყო ფულად-სასაქონლო ურთიერთობებზე და ადამიანთა დიდი სიმდიდრე, დროით ინდა ყოფილიყო გაზომილ-შეფასებული. ვნახოთ, რა მოხდა სინამდვილეში.

7. დასამახსოვრებელია სპარსეთის იმპერიის დამაარსებლის კიროსის საფლავის წარწერა: რა ვიყავი, რისთვის ვიბრძოლე, რა წავილე ამ ქვეყნიდან ორი არშინი მიწის მეტი (კიროსმა კი მართლაც დიდი იმპერია შექმნა).



6. სტალინიზმი

დღეს სტალინის ხსენება ცუდ ტონად ითვლება. უმრავლესობა აყოლილია გარკვეული იდეოლოგიების მიერ დაწერილ აზრებს, სასაცილოა. ერთი მხრივ აღიარებენ სტალინის დიდ ავტორიტეტს ფართო მასებში. ასკვნიან, რომ დღესაც მოსახლეობის 40% მას დადებითად აფასებს. ცოტაა? გასახსენებელია მ. გორბაჩოვის მნარე ნათქვამი: ჩვენ გვლანძღავენ და ამავე დროს ყოველ პენსიონერს მისი სურათი ჯიბით დააქვს, ყოველ ავტობუსში, ტრანსპორტის საშუალებებში მძღოლებს კაბინაში მისი პორტრეტი აქვს გაკრულიო.

ყოველ რიგით ადამიანზე, მით უფრო დიდ პიროვნებაზე ბევრი შეიძლება ითქვას ცუდიც და კარგიც. სტალინს აქებდნენ და ადიდებდნენ ისე, რომ მისი ნააზრევი (ათი ტომი), შესწავლილი კი არა, ნანახიც არა ჰქონდათ. დღეს პირიქით, აკრიტიკებენ და ლანძღავენ ისე, რომ მის შემოქმედება—მოღვაწეობაზე ბაიბურში არ არიან.

ამ შემთხვევაში მიზანი მოკრძალებულია. ორიოდ წინადადებით იქნეს გახსენებული „საბჭოთა სოციალიზმის“ ბუნება და მისი შესატყვისობა მარქსიზმთან. სხვანაირად: რამდენადაა სტალინიზმი არამარქსისტული მოძღვრება და პრაქტიკა და რამდენად ორგანულ კავშირშია ლენინიზმთან.

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, თავად სტალინი თავს დიდ თეორეტიკოსად არასოდეს მიიჩნევდა. იგი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის პრაქტიკოსი ლიდერი გახლდათ. საკითხის არსის გასაგებად, გასახსენებელია რუსეთის იმპერიის ერთი თავისებურება. XIX საუკუნის რუსეთში მოქმედებდა ხალხოსურ-ტერორისტული ორგანიზაციები. მათ იდეებზე აღზრდილმა ვ. ლენინმა ვერ მოახერხა მათთან



საბოლოო გამიჯვნა. მისი ხელმძღვანელობით შექმნილი ბოლშევიკური პარტია, იყენებდა ტერორისტ ელემენტებს. მათ შორის სტალინი არ იყო უკანასკნელი. მისი სახელი უკავშირდება თბილისში, ბანკზე მოწყობილ თავდასხმას.

ამავე დროს, იყო რა ბუნებით დაჯილდოებული, თავისი მოკრძალებული წვლილი პოეზიაშიც შეიტანა. საკმარისია მიეთითოს, რომ პრაქტიკული საბრძოლო მოღვაწეობით დაკავებული, სამი თვით მოხვდა ავსტრიაში, ვენის ბიბლიოთეკით ისარგებლა და ეროვნულ საკითხზე დაწერა ნაშრომი, რომლის გამო, ეროვნული საკითხის საუკეთესო მცოდნის ავტორიტეტი მტკიცედ დაიმკვიდრა. სკეპტიკოსებს შეუძლიათ, დაინტერესდნენ და ნახავენ, რომ მიუხედავად ათასგვარი მცდელობისა, მასზე უფრო სრულად და ამომწურავად, ერის განმარტება არავის მოუცია. და ეს გრძელდება დღემდე.

მაშინ, როცა თეორეტიკოსი რევოლუციონერები (ვ. ლენინის ჩათვლით) საზღვარგარეთ უსაფრთხოდ ცხოვრობდნენ, სტალინი (სხვა პრაქტიკოსებთან ერთად) ციხიდან ციხეში, გადასახლება-გაციმბირების პირობებში დაულალავად მოღვაწეობდა.

ვ. ლენინი სასონარკვეთილი წერდა: ჩვენ, უფროსი თაობა, რევოლუციას ვე მოვესწრებითო. ეს 1916 წ. დეკემბერში. 1917 წ. 23 თებერვალს ოპოზიციურმა პარტიებმა მოიწვიეს თათბირი, რათა განეხილათ დროებითი მთავრობის შექმნის საკითხი, რადგან მეფე გადადგომას აპირებდა. ბოლშევიკებმა თათბირში მონაწილეობა არ მიიღეს იმ მიზეზით, რომ არავითარი გადადგომა მეფისა არ შეიძლება მომხდარიყო. აი, ასეთი თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულები შეხვდნენ ვ. ლენინი და ბოლშევიკები თებერვლის ბურჟუაზიულ რევოლუციას.

სტალინი რევოლუციამ გაათავისუფლა ციმბირის გადასახლებიდან, სადაც კამენევთან ერთად იმყოფებოდა, ჩავიდა პეტროგრადში და იმავე დღეს გაზეთ „პრავდის“ რედაქტორად აირჩიეს. ასეთი გაუნათლებელი და უცოდინარი იყო იგი.



სტალინი დროებით მთავრობაში მუშაობის მომხრე იყო, ვიდრე არ შედგა შეთანხმება ვ. ლენინთან. ამის შემდეგ, როგორც წესი, პრობლემების თეორიული განსაზღვრა ხდებოდა ვ. ლენინის მიერ, პრაქტიკული რეალიზაციის სიმძიმე კი სხვებთან ერთად სტალინის მოსაგვარებელი. იგი აქტიურად მონაწილეობდა ოქტომბრის შეიარაღებული გადატრიალების (რომელსაც რატომღაც სოციალისტური რევოლუცია უწოდეს) მომზადება-განხორციელებაში. მისი როლი სამოქალაქო ომის და ინტერვენციის პირობებში საკმაოდ ფართოდაა შესწავლილი.

1918 წ. რუსეთში მართლაც მოინდომეს სოციალისტური ღონისძიებების გატარება. მხედველობაშია არა ცნობილი მიწის ნაციონალიზაცია, აღრიცხვა-კონტროლის, გეგმიურობის დამკვიდრება არა. ეს ღონისძიებანი ბურჟუაზიული რევოლუციის ფარგლებში ჯდებოდა. ბურჟუაზიის სანუკვარი ოცნების ხორცშესხმას წარმოადგენდა. მხედველობაშია ფულად-სასაქონლო ურთიერთობის მსხვრევა, რაც ე. წ. სამხედრო კომუნიზმის პერიოდში განხორციელდა. ამას ემატებოდა ისეთი ჭეშმარიტად დემოკრატიული ღონისძიებანი, როგორიცაა ხელფასების მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის 1:3 ფარდობის დანესება. სასურსათო განერის შემოღება გადასახადების ნაცვლად, კომუნის შექმნა და სხვ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფეოდალიზმის მარწუხებისგან გათავისუფლებულ წვრილგლეხურ რუსეთში სოციალიზმი მიუღებელი მოვლენა აღმოჩნდა. საბჭოთა მთავრობა (ბოლშევიკური პარტია) იძულებული გახდა, წვრილბურჟუაზიულ დათმობებზე წასულიყო. სხვა გზით გლეხთა აჯანყებებს უკვე „სოციალიზმის“ წინააღმდეგ ვერ მოერეოდნენ. ლენინურმა თეორიამ რუსეთში გლეხური სოციალიზმის შესაძლებლობის შესახებ სრული კრახი განიცადა.

1921 წ. ბოლშევიკები ე. წ. ნეპ-ის (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა) ღონისძიებების განხორციელებას შეუდგნენ. სამწუხაროდ, არავინ დაინტერესებულავ. ლენინის დამოკ-



იდებულების შესწავლით. მას ნეპ-1 წარმოედგინა, როგორც უფულო საქონელ-გაცვლა ქალაქსა და სოფელს შორის. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ აღიარა მწარე მარცხი: უბრალო რუბლი ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდაო და მიემხრო ფულად-სა-საქონლო ურთიერთობების შემოღებას.

გამართლდა მარქსიზმის გაფრთხილება: სანამ ურთიერთობანი ფულად-სასაქონლო ხასიათისაა, სოციალიზმზე გადასვლა შეუძლებელია.

ვ. ლენინმა სიცოცხლის ბოლოს მოასწრო საბჭოთა კავშირის შექმნა. პრაქტიკულად, მრავალეროვანი უნიტარული იმპერია, სადაც ყველაფერს ცენტრი განსაზღვრავდა და სადაც უზარმაზარი ქვეყანა ერთი ცენტრის შემყურე იყო. მოხდა ის რაზეც მკვლევარები მიუთითებენ. მეფის რუსეთში მოქმედებდა სამი პრინციპი: ერთი მეფე, ერთი ენა, ერთი რელიგია. ე. წ. სოციალისტურ რუსეთში მეფე შეცვალა პარტიის გენერალურმა მდივანმა, რელიგია – ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ, ენა დარჩა რუსული.

სტალინი ამ პერიოდიდან იწყებს სტალინიზმს. მისი ინიციატივით საბჭოეთის პარლამენტში, უმაღლეს საბჭოში, შემოიღეს მეორე, ეროვნებათა ურთიერთობის პალატა.

ვ. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებაში დაიწყო დიდი შეხლა-შემოხლა, რაც, საბოლოოდ, სტალინის გამარჯვებით დამთავრდა. ცხადია, საინტერესოა იმის ცოდნა, როგორ მოახერხა უპირველესი მოწინააღმდეგე ტროცკის ჩამოცილება, როგორ მიჰყვნენ მას სხვა ცნობილი ლიდერები და სხვა. ამ შემთხვევაში გასახსენებელია ერთი: ზინოვიევი გახდა მესამე ინტერნაციონალის მესაჭე, მან გამოაქვეყნა მსხვილტანიანი ნაშრომი „ლენინიზმი“. სტალინიმა ერთი წლის შემდეგ ასევე გამოაქვეყნა „ლენინიზმის საკითხები“. ნიშანდობლივია, რომ თავის ნაშრომებს (ამბობენ, ენათმეცნიერების გარდა) იგი თავად სწერდა. ჰოდა, საკითხავია, პრაქტიკოსი რევოლუციონერი, სემინარიადაუმთავრებელი, თეორეტიკოსობაზე პრეტენზიის არმქონე, როგორ ამაღლდა იმ დონემდე? ღვთის ნყალობაა?



ერთის გახსენებაა აუცილებელი. საერთაშორისო ვითარება კარგს არაფერს უქადდა. გარდა საერთაშორისო აღიარების არ ქონისა, რიგი ქვეყნების (აშშ) მხრიდან, ინგლისი მუდმივად ემუქრებოდა ომით, გერმანიაში ფაშიზმი მძლავრობდა. ასეთ ვითარებაში სტალინი (ბოლშევიკური პარტია) ღებულობს გადაწყვეტილებას, საერთო განვითარების ფონზე, მძიმე მრენველობის სამჯერ უფრო სწრაფი ტემპებით განვითარების და მის ფონზე სამხედრო მრენველობის სამჯერ უფრო სწრაფი ტემპებით ზრდის შესახებ. თითქოს სოციალიზმს აშენებდნენ, სინამდვილეში, თავდაცვა იყო გასაძლიერებელი. უკვე მაშინ იგრძნობოდა მსოფლიო ომის გარდაუვალობა.

რაც შეეხება სოციალიზმს. ნეპ-ის (ახალი ეკონომიკური პოლიტიკის) შემოღებიდან ერთი წლის შემდეგ, ვ. ლენინმა აღიარა უფულო გაცვლის შეუძლებლობა და ქვეყანა გადავიდა ფულად-სასაქონლო ურთიერთობებზე. ეს ნიშნავდა ბურჟუაზიული წყობილების აღდგენას. ოფიციალურად, ხმამაღლა ეს არავის უღიარებია, მაგრამ ვინც მარქსიზმი ზედაპირულად მაინც იცოდა, მისთვის შედეგიც ნათელი იქნებოდა. ამ პოლიტიკასთან აშკარად შეუთავსებელი იყო კომუნების, შრომითი არმიების არსებობა და, შესაბამისად, მოხდა მათი ლიკვიდაცია.

დაისვა ლოგიკური კითხვა: მარქსისტულმა პოლიტიკამ გლეხურ, გაუნათლებელ რუსეთში არ გაამართლა. ვ. ლენინის იმედები რუსეთში გლეხური სოციალიზმის შესაძლებლობაზე, უტოპია აღმოჩნდა. რა უნდა ექნათ ბოლშევიკებს, რომლებმაც თავს კომუნისტები უწოდეს? გამოსავლის ძიებისას ნ. ბუხარინმა (1929 წ.) წამოაყენა ლოზუნგი: გამდიდრდით. ეს იყო პირდაპირი მოწოდება კაპიტალისტურ ურთიერთობათა ლეგალიზაციის შესახებ. სტალინმა პრაგმატულად განსაზღვრა: ბუხარინის იდეას ქვეყანა უკან, კაპიტალიზმისკენ (უფრო ზუსტად ბატონ-ყმობისაკენ) მიჰყავდა. საჭირო იყო, სოციალისტური იდეების შენარჩუნება და მოინახა საშუალო გზა – კოლექტივიზაცია, ინდუსტრიალიზაცია.

კოლექტივიზაცია, მართალია, სოციალიზმის პრინცი-



პებიდან უკანდახევა იყო, მაგრამ თავისი სიახლით სოციალისტური ელფერის შენარჩუნების საშუალებას იძლეოდა. გლეხებს უვადო სარგებლობაში ეძლეოდათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სანაცვლოდ, იძულებულები იყვნენ საერთო-სახელმწიფო მეურნეობებში ემუშავათ მცირე ანაზღაურების საფასურად.

პრაქტიკულად მოხდა სოციალიზმიდან უკანდახევა სოციალისტური ელფერის შენარჩუნებით. გლეხები კოლმეურნეობებიდან ლებულობდნენ არა ხელფასს, არამედ მათ მიერვე შექმნილი პროდუქტის ნაწილს. ამასთან, ხდებოდა განწერა გადასახადის ნაცვლად (კვერცხი, ხორცი და ა. შ. გლეხებს ნატურალური სახით უნდა ჩაებარებინათ). გამოდიოდა, რომ ქალაქი სოფელთან ფორმალურად ფულად-სასაქონლო გაცვლას არ აწარმოებდა. ეს ხელმძღვანელობას აძლევდა საფუძველს, ემტკიცებინათ სოციალიზმის შესახებ.

უფრო მეტი. კოლექტივიზაციის პროცესმა შექმნა პირობა ე. წ. კულაკთა კლასის ლიკვიდაცია განხორციელებინათ. აქაც მარქსიზმის აგრარული თეორიის პაროდია გათამაშდა. მარქსიზმი გლეხებს სამ კატეგორიად ჰყოფდა: მცირერიცხოვანი მსხვილი გლეხობა, საშუალო და ღარიბი გლეხობა. თეორიის მიხედვით, რევოლუციის პროცესში მსხვილი მიწათმფლობელი გლეხობის ექსპროპრიაცია განხორციელდებოდა. საშუალო გლეხობა ბოლოს ნებაყოფლობით გადავიდოდა სოციალისტურ ურთიერთობებზე.

პაროდია შემდეგშია: როცა მკვლევარები ანალიზს უკეთებდნენ ე. წ. გლეხთა კატეგორიების მარქსისტულ დახასიათებას, მიდიოდნენდასკვნამდე, რომ გერმანიის მსხვილი გლეხობა რუსეთის ფეოდალთა კლასს უტოლდებოდა. გერმანიის საშუალო შეძლების გლეხობა (რომელთა მიმართ, თეორიის მიხედვით, იძულება არ იგეგმებოდა), რუსეთში უმსხვილეს გლეხობას უთანაბრდებოდა. რუსეთის უმიწო, ლატაკ გლეხთა ფენას გერმანიაში ანალოგი არ მოეპოვებოდა.

ამდენად, საბჭოთა კავშირში წარმოებული ე. წ. კულაკთა კლასის ლიკვიდაცია არამარქსისტული პროცესი იყო.



ის, რაც სოციალიზმის მშენებლობის მიღწევებადაა მიჩნეული, სხვა არაფერია, თუ არა ომის საფრთხიდან გამომდინარე, მრეწველობისა და შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური კადრების დაჩქარებული მომზადება.

ამიტომ შეძლო საბჭოთა კავშირმა რევოლუციური ტემპებით შეექმნა სამრეწველო ბაზა. უცხოელი სამხედრო სპეციალისტები, როდესაც საბჭოთა კავშირისა და ფაშისტური გერმანიის შესაძლებლობებს ადარებენ, 1937 წლისათვის, პირველთა საგრძნობ უპირატესობას აფიქსირებენ. სხვა ამბავია, რომ 1938-1940 წლებში გერმანიამ, ევროპის ხარჯზე, პოტენციალი გაიორმაგა და უპირატესობა მიიღო.

საბჭოთა იმპერიაში კლასობრივი მტრების მოსპობის საბაბით, შესაძლებლობის ფარგლებში, მოსპეს ოპოზიცია, დაამყარეს ბოლშევიკური პარტიის შეუზღუდავი დიქტატურა და 1936 წელს საზეიმოდ გამოაცხადეს სოციალიზმის გამარჯვება ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში. ცხადია, რამდენადაც პარტიას და ქვეყანას სათავეში სტალინი ედგა, გამოდიოდა, რომ მან ახალი სიტყვა თქვა თეორიაში. მართლაც, ვ. ლენინი მტკიცედ ემხრობოდა იდეას, რომ სოციალიზმი ვერ დამყარდება ფულად-სასაქონლო ურთიერთობების პირობებში და 1922 წ. აღიარა, რომ ფული უფრო ძლიერი იარაღია, ვიდრე ბოლშევიკური ტერორი, რომ მისმა იდეებმა მარცხი განიცადა, ახლა დგებოდა თეორიის ახალი გაგება: ფულად-სასაქონლო ურთიერთობანი, რითაც კაპიტალიზმი განირჩევა ყველა სხვა ფორმაციებისაგან, თურმე, შეიძლება სოციალიზმისათვის იმანენტური მოვლენა იყოს. და მეორე, მტკიცედ სწამდათ, რომ სოციალიზმი თუ გაიმარჯვებს, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად. ვ. ლენინის აზრით, რუსეთი დაიწყებს, გერმანია, ინგლისი გააგრძელებენ და სოციალიზმი ერთდროულად გაიმარჯვებსო. 1936 წლისთვის გამოცხადდა, რომ სოციალიზმმა გაიმარჯვა ერთ ცალკე აღებულ და თანაც ჩამორჩენილ ქვეყანაში. ეს ორი დასკვნა ლენინიზმს უკვე სხვანაირად წარმოადგენდა. მარქსიზმზე აღარაა მსჯელობა.



დღეს ძნელია მსჯელობა პიროვნების როლზე, მით უფრო ისეთისა, რომელიც ცალმხრივად განიხილება. ამიტომ ორი-ოდე წინადადებით გასახსენებელია მისი მეორე მხარეც. მხედველობაშია ი. სტალინი. მას წარმოადგენდნენ, როგორც შეუბრალებელ დესპოტს, ხალხის ჯალათს და ა. შ.

სამწუხაროდ, მას არ განიხილავდნენ, როგორც კონკრეტული ისტორიული ვითარებით განპირობებულ ადამიანს. საკმარისად ახლო უნდა გაიაზროს წამკითხველმა ორი მომენტი: ი. სტალინი, როგორც პიროვნება, ბავშვობიდან მოხუცებულობამდე და პერიოდის საშინელებანი, რომელშიც მას მოღვაწეობა მოუწია.

პერიოდის დასახასიათებლად საკმარისია, ცოდნა კი არა, გაგება, რამდენად განვითარებული იყო რუსეთის იმპერია 1914 წლისათვის. ამას დაემატოს ის, რომ 1918 წლისათვის წარმოება ხუთჯერ შემცირდა. იყო მასობრივი შიმშილი (დამახასიათებელი თანმხლები მოვლენებით), მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი, ზედ დართული უცხოური ინტერვენცია და ასეთ, ნახევრად ფეოდალურ ქვეყანაში ვ. ლენინის მეთაურობით, ტროცკის, ზინოვიევის და სხვათა მცდელობებით უნდა გადასულიყვნენ სოციალიზმზე, თანაც ისე, რომ არ იცოდნენ, როგორი სოციალიზმი სურდათ.

სწორედ იმ დროს ვ. ლენინი მ. ფრუნზეს (უკრაინაში მყოფს), მოსკოვიდან ეხვეწებოდა რამდენიმე ქვაბის გაგზავნას. ს. ორჯონიკიძეს (რომელსაც ქართველები მძიმე ბრალდებებში ადანაშაულებდნენ) ჰპირდებოდა ყველაფრის პატიებას, თუ ის მის საყვარელს (ინესა არმანდს) ვაჟიშვილთან ერთად დასვენებას მოუწყობდა.

პარალელურად, ვ. ლენინი მოითხოვდა მსუბუქი ყოფაქცევების ქალების დახვრეტას, რადგან ისინი თურმე „რყვნიდნენ“ წითელარმიელებს. მოითხოვდა ცნობილი „სამეულის“ სწრაფი სასამართლოების მოწყობას და ა. შ.

იმავე პერიოდში ლ. ტროცკი სამხედრო ჯავშნიანი მატარებლით გადაადგილდებოდა ლამაზი ქალების, შამპანურების,



ადიუტანტების თანხლებით და ა. შ.

ყველა სისასტიკის და საზიზღრობის ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. ამ დროს ი. სტალინი ცხოვრობდა ძალზე ღარიბულად ვიწრო ბინაში და მოკრძალებული ხელფასით, ოჯახთან ერთად ინახავდა მეგობრების შვილებს, ეს ერთი მხრივ ოჯახურ უკმაყოფილებას იწვევდა (ნადეჟდა ალილუევა კარგად ხედავდა სხვა კომისრების ცხოვრების წესს და მასაც სურდა კარგი ცხოვრება)⁸. ამაზე მეტი იყო გადიდვაცემული ტროცკის ირონიული დამოკიდებულება უჯიშო კავკასიელისადმი (მით უფრო, რომ სწორედ მან აიძულა, თანხმობა მიეცა ბრესტის ზავის სასარგებლოდ).

ი. სტალინი იძულებული იყო, თავის უშუალო ფუნქციების გარდა, ემოქმედა სახელმწიფოებრივი საჭიროების ყველა ფრონტზე, მათ შორის იგი მონაწილედ ჩაითვლება იმ მასობრივი რეპრესიებისა, რასაც ვ. ლენინისა და ლ. ტროცკის ხელმძღვანელობით ჰქონდა ადგილი. ერთი, რასაც მასზე ვერ იტყვიან, ესაა პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვა. ცხოვრების არც ერთ პერიოდში არ უცდია მას, პირადი და ოჯახური კეთილდღეობის მოწყობა. მისი ასეთი ცხოვრება ფართო მასებს სოციალიზმის გარკვეულ რწმენას უმტკიცებდა.

ი. სტალინის მნიშვნელობა შეუფასებელი იყო ახალი წყობილების დამკვიდრებაში და მისი „სოციალისტურობის“ აღიარებაში.

1939 წ. 2 სექტემბერს დაწყებულმა მეორე მსოფლიო ომმა უკანა პლანზე დასწია საერთოდ იდეურობის საკითხი. არა ჰქონდა მნიშვნელობა (გარკვეულად) წყობილების ხასიათის. მთავარი იყო გერმანიისა და მისი მოკავშირეების აგრესიის მოგერიება.

ი. სტალინის როლი ამ ომში მრავალნაირადაა გაშუქებული-

⁸ აქვე გასახსენებელია ა. ჯაფარიძის უფროსი ქალიშვილის (ლუცია) ერთი მოგონება. მისი თქმით, ი. სტალინი მხოლოდ ერთს მოითხოვდა მეუღლისაგან: სადილობისას ჰქონოდა წვნიანი, რადგან გადასახლებების დროს დაავადებულ ორგანიზმს ეს სჭირდებოდა. ასეთი ოჯახური უკმაყოფილება მოსათმენია თუ არა?



ლი. განსაკუთრებით გაიზარდა მის შესახებ ლიტერატურა დიდი ავანტიურისტის ნ. ხრუშჩოვის „იმპერატორობის“ დროს და შემდეგ. ომის ხასიათისა და მიმდინარეობა-შედეგების განხილვის გარეშე, უნდა ითქვას ი. სტალინის შეუფასებელი როლის შესახებ. მხოლოდ იმიტომ, რომ დღემდე არ წყდება ხმაური გ. ჟუკოვის ე. წ. გამარჯვების მარშლის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე, დაინტერესებულმა ადამიანმა დაკვირვებით უნდა წაიკითხოს ჟუკოვის მოგონებები. ანალიზი აჩვენებს, რამდენად „დიდი“ იყო იგი, რა როლი შეასრულა საბრძოლო მოქმედებების დროს და რამდენად „უტოლდებოდა“ ი. სტალინს.

ომის შემდეგ ძალისხმევა ქვეყნისა, მიმართული იყო დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისკენ. არა სოციალისტური „გამარჯვებები“, არამედ სამრეწველო პოტენციალის ზრდა იყო ამოცანა. ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია ი. სტალინის, თ. რუზველტის და უ. ჩერჩილის ურთიერთობათა ისტორიაში, შემდეგ ორი უკანასკნელის მემკვიდრეთა ჩართულობაში, დაეთანხმება, რომ ბევრი რამ იყო დამოკიდებული საბჭოთა ლიდერის პოზიციაზე. მხედველობაში მხოლოდ რეპარაციების საკითხია. ისე, ბევრი შეიძლება ითქვას საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკურ, სამხედრო და განსაკუთრებით ტერიტორიულ ზრდაზე, რამაც საბოლოოდ ე. წ. სოციალისტური ქვეყნების ბანაკის შექმნა გამოიწვია. დიახ, რეპარაციების ოდენობამ და ხარისხმა შეაძლებინა საბჭოთა კავშირს 3-4 წელიწადში აღედგინა დანგრეული სახალხო მეურნეობა. ამან თავის მხრივ შექმნა პირობა, გაზაფხულობით გარკვეულ პროდუქტებზე ფასდაკლება განეხორციელებინათ.

ამ გზით გამოცოცხლდა და განმტკიცდა აზრი წყობილების სოციალისტურობის შესახებ. იყო მოლოდინი, რომ ორიოდე წლის შემდეგ პური და ზოგი პირველადი მოხმარების პროდუქტი უფასო გახდებოდა. ეს იყო რწმენა. რწმენა კი დიდი ძალაა.

ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ⁹ ქვეყანა აირია. ნ. ხრუშ-

9. ავტორის პოზიცია ამ საკითხზე პიესაში „შეთქმულა“



ჩოვის „იმპერატორობისას“¹⁰ საფუზვლიანად შეირყა რწმენა ქვეყნის სოციალისტურობის შესახებ. მისი ლოზუნგი: ოც წელიწადში კომუნისზმის აშენების შესახებ, იყო პოპულისტური გათვლა: საზოგადოება ხელმძღვანელმა უნდა მოატყუოს ისეთ ხანგრძლივ და დიდ რამეში, რასაც მისი სიცოცხლე განვდება. მოკლე დროის ტყუილს ხალხი ადვილად გაიგებს და შეიძლება, მძიმე შედეგებით დამთავრდეს (მისთვის).

ნ. ხრუშჩოვის შემდეგ ბევრს ეცადნენ პარტიული ხელმძღვანელები, აღედგინათ რწმენა სოციალიზმისადმი, მაგრამ უშედეგოდ. ვერ უშველა ე. წ. განვითარებული სოციალიზმის, მომწიფებული სოციალიზმის შესახებ ქადაგებამ, ვერც რეპრესიებმა. ეს მით უფრო იმ ვითარებაში, როცა თავად პარტიული ადგილობრივი თუ ცენტრალური აპარატის მუშაკები აღარ მალავდნენ საკუთარ სახეს. ვთქვათ, რა რწმენა უნდა ჰქონოდათ ადამიანებს კომუნისტური პარტიის პოლიტიკურს წევრის, ქვეყნის რუხ კარდინალად წოდებული მ. სუსლოვისა, როცა ქვეყანამ მილიონობით ჯარიმა გადაიხადა იმის გამო, რომ მისმა ვაჟმა აფრიკაში ნადირობისას, ზედმეტი სპილო მოკლა, გასაგებია?

XX საუკუნის ბოლო მეხუთედში, პრაქტიკულად, ინერციით ითვლებოდა საბჭოთა კავშირი სოციალისტურ სახელმწიფოდ. იყო სახელწოდება ყოველგვარი შინაარსის გარეშე. 1991 წ. ამ ფორმალურ სოციალიზმსაც დიდი წერტილი დაესვა. სწრაფად გაფორმდა „კომუნისტი“ დიდკაცების კაპიტალისტებად გარდაქმნის პროცესი. ქვეყანა ე. წ. „განვითარებული“ სოციალიზმიდან რიგით კაპიტალისტურ სახელმწიფოდ გარდაიქმნა. დაიწყო სახელმწიფო კაპიტალის განაწილების, მას მოჰყვა გადანაწილების პერიოდები, მათ შორის საქართველოში.

საინტერესოა, რომ ამ გარდაქმნას არ გამოუწვევია დიდი იდეურ-პოლიტიკური დებატები. უბრალოდ, აღარაა სოციალიზმი და მასთან ერთად დასამარდა თეორია. სამწუხაროა, რომ არავინ არკვევს სოციალიზმის არსის რაობას, სხვაობას

10. ნ. ხრუშჩოვის ქცევა, პოლიტიკა ავტორს ასე აქვს შეფასებული.



თეორიასა და პრაქტიკას შორის. არც იმას, რა იყო ობიექტური მიზეზები სოციალიზმის კაპიტალიზმად გადაქცევის, არც იმას, რამდენად დამნაშავეა მარქსიზმი.

7. მარქსიზმი, უღანაულო დამნაშავე

ბუნებასა და საზოგადოებაში მრავალი კანონი მოქმედებს, ზოგი ცნობილი, ზოგი შეუცნობი. მათი გარკვეული ერთობა ქმნის კანონზომიერებას. ჯერ კიდევ გ. ვ. ჰეგელმა დაადგინა ის უზოგადესი კანონები, რომელთა მიხედვით ხდება განვითარება. ე. წ. დიალექტიკის კანონები ასახავენ განვითარების უზოგადეს ხაზს.

დიალექტიკის კანონების აღმოჩენით საზოგადოებრივ ცხოვრებაში მარქსიზმმა დააფუძნა დიალექტიკური მატერიალიზმის მოძღვრება. შეიქმნა მოძღვრება არსებობისა და განვითარების უზოგადესი კანონზომიერების შესახებ.

ამ მოძღვრების თანახმად, საზოგადოებრივ განვითარებას აქვს პროგრესული ხასიათი. განვითარება არასწორხაზობრივია, მაგრამ პროგრესული საფეხურიდან დაბალ საფეხურზე (ანუ უკან დაბრუნება) გადასვლა არა ხდება.

საზოგადოებრივი განვითარების ისტორია არ იცნობს ფაქტს, როცა მონათმფლობელური წყობილების საფეხურიდან (ფორმაციიდან) საზოგადოება პირველყოფილ თემური წყობილების საფეხურზე დაბრუნებულიყოს. ასევე არ ყოფილა შემთხვევა, ფეოდალიზმიდან მონათმფლობელური წყობილების საფეხურს დაბრუნებოდნენ. კაპიტალისტური წყობილებიდან ფეოდალურ წყობილებაზე გადასვლის მცდელობის ფაქტი არ არსებობს. შესაბამისად, სოციალისტური წყობილებიდან კაპიტალისტურ წყობილებაზე გადასვლის (პროგრესის რეგრესით შეცვლის) ობიექტური შესაძლებლობაც თეორიულად გამოირიცხებოდა. მაშ, რა მოხდა? საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, როგორ, თითქმის უმტკივნეულოდ გადაიქცა კაპიტალისტურ სახელმწიფოდ? სადაა ძალის თავი?

პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, როგორ ესმოდა სო-



ციალიზმი საზოგადოებას. ამ მხრივ, ზღვა ლიტერატურა არსებობს, სადაც აღწერილია ძველი და ახალი უტოპისტური მოძღვრებანი. მარქსიზმმა სწორედ მათ საფუძველზე დაასკვნა სოციალიზმის რიგი ნიშნების შესახებ. ძირითადი იყო დასკვნა კაპიტალიზმის დაღუპვისა და სოციალიზმის დამკვიდრების ერთნაირი გარდუვალობის შესახებ (აქვე უნდა ითქვას, რომ სოციალიზმი და კომუნიზმი მარქსიზმისათვის ერთი და იგივეა, სინონიმებია. ვ. ლენინმა, პრაქტიკული მოსაზრებიდან გამომდინარე, სხვადასხვა შინაარსი ჩადო და დააშორა ისინი).

მარქსიზმის მიხედვით, კაპიტალიზმი ისეთივე დროებითი მოვლენაა, როგორც ყველა მანამდე არსებული. იგი აუცილებლად დაიღუპება, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ამოწურავს განვითარების შინაგან შესაძლებლობებს (აღქმის გასაადვილებლად: ყოველი ცოცხალი ორგანიზმი იბადება, იზრდება, მომწიფდება, მოხუცდება და კვდება. ვთქვათ, ადამიანი შეიძლება ბავშვობისას დაიღუპოს, მაგრამ ეს არაა ბუნებრივი. ბუნებრივია, როცა მიაღწევს ღრმა სიბერეს და ამოწურავს სასიცოცხლო რესურსს).

ვ. ლენინმა „შემოქმედებითად დაამახინჯა“ მოძღვრება და ბრძანა: კაპიტალიზმი დაიღუპება. არა აქვს მნიშვნელობა განვითარების რა ეტაპზე.

საფიქრალია, რომ მარქსიზმი არაა დამნაშავე იმაში, რაც ვ. ლენინს მოუვიდა ჭკვაში.

ვ. ლენინის ეს იდეალისტურ-ვოლუნტარისტული გათვლა განმსაზღვრელი გამოდგა სტალინისთვისაც და მომდევნო თაობებისთვისაც.

უკვე იყო მსჯელობა, როგორ ესმოდა მარქსიზმს კაპიტალისტური განვითარების უმაღლესი ეტაპი (საფეხური, სტადია ეს იგივეა). ესაა:

1. მინის ნაციონალიზაცია;
2. წარმოების საშუალებების გასახელმწიფოებრიობა;
3. წარმოების გეგმიურობა. მარქსიზმი ასევე განმარტავდა რატომ, რა გზით განხორციელდება ეს გარდაქმნები და



რას გამოიწვევს შედეგად.¹¹

ვ. ლენინი, მიუხედავად მარქსისტული მოძღვრების რიგი საკითხების საფუძვლიანი ცოდნისა, საბოლოო ანგარიშით ვერ მოწყდა ხალხოსნური იდეების გავლენას. მისთვის კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხური გაურკვეველი ფენომენია (ან განგებ არ გაამახვილა ყურადღება). იგი კვლავ ტერორისტული ორგანიზაციების (პარტიების) იმედად დარჩა.

საფიქრალია, რომ მარქსიზმი სულაც არაა დამნაშავე თუ ვ. ლენინმა სოციალიზმად მიიჩნია კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხური.

განმეორებით ითქმება ფ. ენგელსი აფრთხილებდა მომავალ რევოლუციონერებს და ამბობდა: რევოლუციონერი (მით უფრო თეორეტიკოსი), რომელიც იმის იმედითაა, რომ პროლეტარიატი სუსტია და კაპიტალიზმი განუვითარებელი, მაგრამ არც ბურჟუაზიაა ძლიერი, ჯერ კიდევ საჭიროებს მარქსიზმის ანა-ბანის შესწავლასო.

საფიქრალია, რომ მარქსიზმი ვერ იქნება დამნაშავე იმის გამო, რომ მისი დასკვნა უგულვებელყვეს.

ფ. ენგელსი 1895 წ. გარდაიცვალა. რამდენიმე თვით ადრე იგი აფრთხილებდა რუს რევოლუციონერებს მათი სოციალისტური იდეების უტოპიურობაში. დაბეჯითებით ეუბნებოდა, რომ რუსეთში შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლუცია. თავად ვ. ლენინი აღნიშნავდა, რომ რუსეთის იმპერიაში ფეოდალიზმი და სიბნელეა გამეფებული. არსებობს ხუთი სამრეწველო ცენტრი (პეტერბურგი, მოსკოვი, ურალი, დონბასი და ბაქო). ამ ცენტრების იქით უკულტურობა, ჩამორჩენილობა, სიბნელეა. შუა აზია „ტუზემცების“ ქვეყანაა, სომხეთი „საქათმე“ და ა. შ.

საფიქრალია, მარქსიზმი არ უნდა იყოს დამნაშავე იმაში, რის შესახებაც აფრთხილებდა მომავალ რევოლუციონერებს, რაც მათ არ თუ ვერ გაიგეს და გაითვალისწინეს.

11. ავტორს ეს პროცესები განხილული აქვს მითითებულ ნაწარმოებში და აუცილებლად არ მიიჩნევს მათ დეტალურ განმეორებას.



ლენინიზმმა არა მხოლოდ მცდარად გაიგო მარქსიზმის რიგი დებულებები, არამედ ისიც გაამრუდა, რაც გაიგო და ვერ განახორციელა. მით უფრო, რომ ამ მხრივაც იყო გაფრთხილებული. დაუშვა რა ფულად-სასაქონლო ურთიერთობანი, ლენინიზმმა საბოლოოდ აქცია ზურგი მარქსიზმს.

საფიქრალია, რომ მარქსიზმი ვერ იქნება პასუხისმგებელი და დამნაშავე იმაში, რაც ლენინიზმმა დანერგა.

ლენინიზმის უშუალო მემკვიდრე სტალინიზმია. ი. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა გარკვეულწილად ჰიბრიდული წყობილება. ქვეყანაში, სადაც წარმოების საშუალებათა განვითარება (სამრეწველო ცენტრებში) მანქანური ეტაპის დონეზე იყო (კაპიტალისტური განვითარების მესამე საფეხურს შეესაბამებოდა), სოფლის მეურნეობა კი ნახევრად ფეოდალურ ურთიერთობაში ჩაბმული, წარმოების საშუალებანი და მიწა სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა.

გრძელი და რთული დასაბუთება, რომ გვერდით გადაიდოს, სიმარტივისათვის: საბჭოთა კავშირში მწარმოებლურ ძალთა განვითარება შეესაბამებოდა კაპიტალისტური წარმოების მანქანური განვითარების დონეს. წარმოებით ურთიერთობათა ფორმა იყო კაპიტალისტური განვითარების უმაღლესი საფეხურისათვის დამახასიათებელი. ეს ნიშნავს, რომ თავიდანვე დარღვეული იყო ურთიერთობათა ფორმის შესაბამისობა მწარმოებლურ ძალთა ხასიათთან. განვითარების აუცილებლობა საჭიროებდა ფორმის შეცვლას, უკან დახევას, შესაბამისობაში მოყვანას. ამ რთულ ერთობას ემატებოდა ნახევრად სოციალისტური იდეოლოგია.

ადამიანები ფიქრობდნენ (ბევრი დარწმუნებული იყო), რომ ცხოვრობენ სოციალიზმში.

რეალურად წარმოებითი ურთიერთობანი იყო კაპიტალისტური ბუნების და შეესაბამებოდა კაპიტალისტური განვითარების ბოლო, მეექვსე საფეხურს.

მწარმოებლური ძალები იყვნენ კაპიტალისტური განვითარების მეოთხე, მონოპოლისტურ საფეხურზე და მოითხოვდნენ შესაბამის ურთიერთობებს.



წინააღმდეგობა განუვითარებელ მწარმოებლურ ძალებსა და ბევრად წინ წასულ წარმოებით ურთიერთობებს შორის აფერხებდა ქვეყნის (წყობილების) წინსვლას. „სოციალისტური“ იდეოლოგიის გავლენით მუხრუჭდებოდა წინააღმდეგობის მშვიდობიანი გადალახვა.

XX საუკუნის ოთხმოციან წლებში მუშათა (მშრომელთა) უკმაყოფილების სიმძლავრემ აიძულა საბჭოთა ხელმძღვანელობა, შეშვებოდნენ იდეოლოგიურ მანიპულაციებს და მიეღოთ აუცილებელი გადაწყვეტილება: ელიარებინათ, რომ ქვეყანაში, სადაც იარლიყი სოციალისტურია, შინაარსი კაპიტალისტურია. ამასთან, მწარმოებლური ძალების განვითარების ხასიათი (დონე), მოითხოვს ხელოვნურად დანერგილ (წინწასულ) ურთიერთობათა ფორმის უკან დაბრუნებას, რათა შეიქმნას საერთო წინსვლის პირობები, რაც ნიშნავს წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო კერძო საკუთრების მონოპოლიის შეცვლას, ნაწილობრივ მაინც კერძო ინდივიდუალურ საკუთრებაზე გასვლას. კაპიტალისტური განვითარების მეექვსე საფეხურის საკუთრებითი ურთიერთობებიდან მეხუთეზე გადასვლას.

დღევანდელი სამეცნიერო-ეკონომისტური გაგებით, შეიძლებოდა კეინსიანისტური გზით წასვლა. ეს ნიშნავდა სახელმწიფო საკუთრებისა და მთლიან ეკონომიკაში სახელმწიფო რეგულირების როლის აღიარებას. შეიძლებოდა ე.წ. კლასიკური კაპიტალისტური გზით წასვლაც. ეს თავის მხრივ მოასწავებდა წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების მთლიანად მოშლას და კერძო ინდივიდუალურ ან კოლექტიურ საკუთრებაზე გადასვლას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ კლასიკური კაპიტალიზმის გზა აირჩია. ეს ნიშნავს: სახელმწიფო ჰყიდის ყველა საშუალებას, რაც გაიყიდება.

ბევრად ჭკვიანურად მოიქცნენ ის რესპუბლიკები, სადაც სახელმწიფო საკუთრების გვერდით შექმნეს კერძო სექტორი. შეახამეს სახელმწიფო და კერძო საკუთრების სექტორები. ვთქვათ, ისე, როგორც არის გერმანიაში, ავსტრიაში და სხვ.



მოკლედ, მარქსიზმი აღმოჩნდა მართალი, როცა აფრთხილებდა რევოლუციონერებს: თუ მოინდომებთ სოციალისტური ღონისძიებების გატარებას ვადაზე ადრე, უკეთეს შემთხვევაში შეძლებთ სილატაკის თანაბარ განაწილებას. ასეთ დროს ხელახლა აღმოცენდება ყველაფერი ის, რას წინააღმდეგაც ხდება რევოლუცია. ყველაზე დიდი უბედურება ის იქნება, რომ ხალხი ირწმუნებს, მართლა სოციალიზმი დავამყარეთო. არ მოეწონებათ და გულს აიყრიან სოციალისტურ იდეალებზეო. ეს რომ არ მოხდეს, ხალხმა რომ სოციალისტურ მოძღვრებას ზურგი არ აქციოს, ვადაზე ადრე სოციალიზმის დამყარებას ნუ შეეცდებითო.

საფიქრალია, გაფრთხილების მიუხედავად, სოციალისტური ექსპერიმენტის გატარებაში, მარქსიზმი დამნაშავე არ არის.

პროგრესულად მოაზროვნეთა ამოცანაა კარგად გაერკვნენ თეორიისა და პრაქტიკის პრობლემატიკაში, ანალიზი გაუკეთონ საზოგადოებრივი განვითარების ისტორიულ ტენდენციებს, მონახონ რეალური გზა სამართლიანი წყობილების შექმნისა. დაე, ნუ ეწოდება მას ნურც სოციალიზმი და ნურც კომუნიზმი. მთავარია სახელწოდება კი არა, შინაარსი.

ამ დიდ და რთულ საქმეში მათ უეჭველ დახმარებას გაუწევს ან წარსულ დიდ მოაზროვნეთა იდეური დანატოვარი. პირველ რიგში კ. მარქსის და ფ. ენგელსის მრავალმხრივი და ღრმა შინაარსის იდეური მემკვიდრეობა.

ეს პატარა სქემატური ხასიათის ნაშრომი კი შეიქმნა, რათა წამკითხველმა შეძლოს, განასხვავოს მარქსიზმი ყველა სხვა „იზმებისაგან“ (ლენინიზმი, სტალინიზმი, ე. წ. განვითარებული სოციალიზმი და სხვ.), რათა სხვა „იზმების“ ხასიათს არ გავუთანაბროთ მარქსიზმი, რათა მივხვდეთ, რამდენად დამნაშავეა უდანაშაულო მოძღვრება.



8. მარქსიზმი და საქართველო

მარქსისტული მოძღვრება თანაბრად ეხება ადამიანთა მთელ მოდგმას. ბუნებრივია, მათ შორის ქართველებსაც. თეორია ასახავდა კაცობრიობის წარსულს, ანალიზს უკეთებდა აწმყოს და სახავდა მომავლის ტენდენციებს.

ცნობილია, რომ ნაშრომი ოჯახის, კერძო საკუთრების, სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, ფრიდრიხ ენგელსმა შექმნა არსებული გამოცდილების ცოდნის საფუძველზე. არავის მორგანივით დეტალურად და თითქმის მხატვრულად ეს ცხოვრება არ აუსახავს. ენგელსმა ყველაფერი გაითვალისწინა და აქცენტი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გააკეთა. პელაზგების ტომთა გამოცდილება, შემდეგ მათი დამპყრობი და საქმის გამგრძელებელი ძველი ბერძნების გამოცდილება, მთლიანად საკითხის შესწავლის ქვაკუთხედი აღმოჩნდა. პელაზგები კი ლაზების მონათესავე ტომია. შესაბამისად, ნაშრომში პელაზ-გებთან ერთად ლაზების გამოცდილებაცაა ასახული. ლაზები კი ერთ პერიოდში ეგრისელ-კოლხებს ეწოდებოდათ.

არა მხოლოდ ოჯახის, კერძო საკუთრების, სახელმწიფოს წარმოშობა, მთელი განვითარება, გრძელი ისტორია ჩვენი ერისა და ქვეყნისა ისე მომდინარეობდა, როგორც აღწერილია მარქსისტულ მოძღვრებაში. თემური წყობილება, მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი იყო ჩვენი ერის წარსული თავგადასავალი. ამ მხრივ ქართველი ერის ისტორია (როგორც ამას დიდი ივანე ჯავახიშვილი იტყოდა), არის მოძღვრების პრაქტიკული დადასტურება.

მარქსიზმი ასახავდა ყველა ერის გამოცდილებას და მათ შორის ქართველობა (ძველ დროში იბერ-ეგრები, უფრო ადრე თუბალ-მეშხები) თავისი წვლილის შემტანი იყო ამ გამოც-



დილების შექმნაში.

მარქსისტული ანალიზის სფეროში თუ ჩვენი გამოცდილება შედოდა, ცხადია, გაკეთებული დასკვნებიც ვრცელდებოდა ჩვენზე. თუ აქცენტირებას არ გავაკეთებთ წარსულის არქეოლოგიურ მონაცემებზე და დავეყრდნობით ისტორიულ სხვა მონაცემებსაც (არქეოლოგია მხოლოდ ადასტურებს ან უარყოფს სხვა ისტორიულ მონაცემებს), აღმოჩნდება, რომ პირველი ქართული, უფრო ზუსტად, ქართლოსისა და ეგროსის სახელებით ცნობილი სამეფოები ძვ. წ. ა. III ათასწლეულში შეიქმნა. მას შემდეგ მათ განვლეს მარქსიზმის მიერ აღწერილი გზა: პირველყოფილი თემური წყობილება, მონათმფლობელური, ფეოდალური და მიაღგნენ კაპიტალისტური განვითარების კარს.

ქართლოს-ეგროსის სამეფოები განფენილი იყო სამხრეთით მდინარე არაქსამდე სპერ-ოლთის-კალმახის ჩათვლით. თემისკირა, ამასია, სინ-უპე, პონტოს (სპერის, შავი) ზღვის მხარეს. დასავლეთიდან მათ ზღვა საზღვრავდა, ჩრდილოეთით საზღვარი ანაპის მთის იქით ჩამდინარე მდინარე ყუბანის (მდინარე მცირისა ხაზარეთისა – ლეონტი მროველის მიხედვით) მარცხენა განტოტებას მისდევდა. მოიცავდა ისტორიულ დვალეთს¹², დურძუკეთს (დღევანდელ ინგუშეთ-ჩეჩნეთს), აღმოსავლეთის საზღვარი ჰეროს – ბარდოსს უკავშირდებოდა (დღეს ეს მხარე ძირითადად მეზობლების საპატრონოა).

დროთა ვითარებაში საზღვრები მერყეობდა და როცა 1801 წ. რუსეთმა ქვეყნის ოკუპაცია მოახდინა, მას მაინც საგრძნობი სივრცე ეკავა. განსაკუთრებით შემცირდა ქვეყნის გეოგრაფიული სივრცე 1921 წ. თებერვლის რევოლუციური ანექსიის დროს.

1919-1920 წწ. რუსეთმა საქართველოს ჩამოაჭრა ტერიტორიები გელენჯიკ (გალენჯიხა)-ტუაფსედან მდ. ფსოუმდე, ჩრდილოეთი სვანეთი, რაჭა, დვალეთი. ამას დაემატა აღმოსავლეთი მხარე (ზაქათალა, ბელაქანი, კახის რაიონები). ცნობილია, რომ მეფე ერეკლე მეორის უფროსი ვაჟის გიორგის რეზიდენცია იყო დღევანდელი ქალაქი ყაზახი (ვილას ახსოვს მისი ქართული

12. დვალეთის შესახებ სხვა წყაროებთან ერთად, ავტორის „დვალეები“.



სოფელ-დაბობა). არც სამხერეთი იქნა დავინყებული დამპყრობი საბჭოთა რუსეთის მიერ.

ოცი კილომეტრი სიგანის ტერიტორია საქართველო-სომხეთის საზღვარზე გადაეცა ამ უკანასკნელს (დღეს აღარავის ახსოვს, რომ ალავერდში მეფე ერეკლემ დააფუძნა არტილერიის მწარმოებელი საამქროები და თურქეთიდან ამ ქართულ მხარეში პირველი სომეხი ხელოსნები ჩაასახლა. დღეს იქ ქართველს ვერ ნახავ. ყველა გასომხებულია). რაც შეეხება თურქეთს: ვ. ლენინმა გულუხვობა გამოიჩინა მუსტაფა ათათურქის გულის მოსაგებად (თუ იკითხავს ვინმე ქ. ტრაპიზონს რატომ ერქვა ქვემო ბათუმი? რატომ მიიჩნევს ზოგიერთი მკვლევარი, რომ არგონავტები ლაშქრობის დროს რიონს კი არ აუყვნენ მეფე აიეტის მოსანახულებლად, არამედ მდ. ჭოროხს? და ა. შ.).

გეოგრაფიული სივრცის ბოლო შეკვეცა მოხდა 1957 წ. ნ. ხრუშჩოვის „კომუნისტური“ სურვილით – ქლუხორის რაიონი ჩამოსცილდა საქართველოს.

1921 წლიდან მოყოლებული საკმაო ხანს საქართველოს და ქართველობის ბედს ცნობილი სერგო ორჯონიკიძე განაგებდა. ის იყო ყველაზე მაღალი დონის „მარქსისტი“ კავკასიის მასშტაბით და, ცხადია, ყველაზე მეტადაც იცოდა „მარქსისტული“ მოძღვრება. მხოლოდ ეგაა, მან გაიარა პარტიული განათლების ლენინური სკოლა (პირდაპირი გაგებით) და, ცხადია, თეორია გაიგო მასწავლებლისაგან. მანამდე (მისი ბიოგრაფების გადმოცემით), 15 წლის ასაკში, რამდენიმე თვე იჯდა ქუთაისის ციხეში და იქ „ღრმად“ დაეუფლა „მარქსიზმს“ (ამაზე იტყვიან, ნეტარ არიან მორწმუნენი).

საქართველოში ამ დროს სულ 85 ბოლშევიკი „მოღვაწეობდა“. როგორი იყო მათი თეორიული ცოდნის დონე? სახელის გარდა, რა იცოდნენ მათ მარქსისტული მოძღვრებიდან? სავარაუდოდ, ვ. ლენინზე მეტი მათ არ ეცოდინებოდათ. ვ. ლენინი კი, ითქვა, რა მარქსისტიც იყო. საქართველოში ათწლეულების განმავლობაში ფუნქციონირებდა მოსკოვში არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი (ე. წ. იმელი),



ასეულობით მკვლევარი საქმიანობდა იქ. დაინტერესებულმა მოიძიოს მათი შრომები და თუ იქ ლენინიზმისგან, უფრო ზუსტად, პარტიის პოზიციისგან რამე განსხვავებულს აღმოაჩინეს, მართლაც დიდი აღმოჩენა იქნება.¹³

თქმა იმისა, რომ ქვეყანაში არავის მარქსისტული მოძღვრების არავითარი ცოდნა არ ჰქონდა, არ შეიძლება. იყვნენ მკვლევარები, იყო მცდელობა, მაგრამ გამოქვეყნებულ ნაშრომებში ეს არ აისახებოდა (ავტორს წლები და „ეშმაკობა“ დასჭირდა, რათა მარქსისტული პოზიცია შეფარვით მაინც გადმოეცა ისეთ საკითხებზე, როგორც იყო „ნეგატიური მოვლენები“, ფ. ენგელსი გასახელმწიფოებრიობის ხასიათის შესახებ, ნეპ-ი პირველისა და ნეპ-ი მეორის თანაფარდობის საკითხი და სხვ).

მარქსისტული მოძღვრების რა დონის ცოდნითაც იყვნენ აღჭურვილნი ქართველი მარქსისტები, ისეთი მარქსიზმიც იყო პატივდებული. შეიძლება ითქვას, ასეულები აქვეყნებდნენ მარქსისტულ „სამეცნიერო შრომებს“ მარქსიზმის ცოდნის გარეშე. ამიტომაც იოლი იყო მარქსისტობა.

რადიკალურად შეიცვალა ვითარება „საბჭოთა სოციალისტური სამოთხის“ დაშლის შემდეგ. განვლილი 30 წლის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა მოძღვრების არსში ჩანვდომისა.¹⁴ რა იქნება მომავალში?

რაც შეეხება მარქსისტული თვალსაზრისის სისწორეს საქართველოსთან მიმართებით:

1. მარქსიზმის მიხედვით, სოციალისტური რევოლუციის მოხდენა და სოციალიზმზე გადასვლა შეუძლებელია, სანამ კაპიტალიზმი არ ამოწურავს სასიცოცხლო ძალებს. საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობების ცოდ-

13. თავად ავტორმა ნაშრომები შექმნა რუსულ ენაზე, რადგან საქართველოში ქართულად მარქს-ენგელსის მოძღვრების განხილვა რეკომენდებული არ იყო. ს. ჩაგუნავა მოითხოვდა 500, ამ აკრძალვის დარღვევის საფასურად. „ძღვენს“ კი ნაშრომების რუსულ ენაზე წერა სჯობდა.

14. ახლახანს გამოქვეყნებული მონოგრაფია „კარლ მარქსი“ უფრო მარქსის ებრაულ წარმომავლობას ეძღვნება, ვიდრე მის მოძღვრებას. რაც შეეხება ნაშრომს, მისი შეფასება სხვათა მიერ სხვა მოვლენებთან კავშირში უნდა მოხდეს. აქ ეს ამოცანა არ დგას.



ნაც არა ჰქონდათ, როცა აქ 1921 წ. „სოციალისტური“ გარდაქმნები დაიწყო. სახელი დაარქვეს, წყობილებას სოციალისტური უწოდეს. შინაარსი?..

2. მარქსიზმის მიხედვით, კაპიტალიზმის მესაფლავე და ახალი სოციალისტური წყობილების შემქმნელი პროლეტარიატი (დაქირავებული მუშათა კლასი) უნდა ყოფილიყო. რა კაპიტალიზმიც იყო, ის იყო პროლეტარიატიც. სანაცვლოდ, იყო საბჭოთა რუსეთის სამხედრო ძალა მე-11, მე-9 არმიები და მათთან ერთად ბოლშევიკურ პროპაგანდას აყოლილი მედროვეები.
3. 1921 წ. საქართველოში დამყარდა საბჭოთა წყობილება. რეალურად, არ იყო პროლეტარიატი, არ იყო საბჭოები, ყოველივე უნდა შექმნილიყო რუსეთის ხელშეწყობით და რუსეთის მსგავსად.
4. 1921 წელს ანექსიის პერიოდისთვის, რესპუბლიკა საკმაოდ წარმატებულად გამოიყურებოდა. ეს იყო პირველი სოციალ-დემოკრატიული ქვეყანა და ევროპის სოციალისტები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს, რაც, საბოლოოდ, 1921 წ. მიღებულ კონსტიტუციაში აისახა.
5. ვ. ლენინისათვის საქართველო პოლიტიკური წყობით, განვითარებით მიუღებელ მაგალითს წარმოადგენდა. რა დროს მარქსიზმზე მითითება იყო, გემრიელი ლუკმა ეკარგებოდა ახალ წითელ იმპერიას. ამიტომ ბელადმა პირადად შეიმუშავა მისირევოლუციური ანექსიის სამი ვარიანტი და განახორციელა კიდეც.

იმ დროს საბჭოთა რუსეთი შიმშილობდა. ჩრდილოეთ კავკასიაში 250 ათასი სომეხი ლტოლვილი უშედეგოდ ითხოვდა დახმარებას. აზერბაიჯანმა უარი განაცხადა მათ მიღებაზე. თვით საბჭოთა სომხეთმა თქვა უარი თანამოქმეთა მიღებაზე. საბჭოთა რუსეთს გამოუჩნდა შედარებით მდიდარი საქართველო.

ამას გარდა, საბჭოთა რუსეთს მე-11 არმია ჰყავდა გამოსაკვები. აზერბაიჯანი მათ უკან მიღებაზე უარს აცხადებდა, გამოსავალი მოინახა ოკუპირებული საქართველოს სახით.



იმ პერიოდში, საქართველოში წარმატებით საქმიანობდნენ უცხოური კონცესიები. ჭიათურის მარგანეცი შესანიშნავი საშემოსავლო წყარო იყო რუსეთისათვის და ასეც გადაწყდა. პარალელურად, საქართველოს ეროვნული ბანკი ერთადერთი იყო კავკასიაში, რომელსაც რაღაც რეზერვები გააჩნდა. ესეც შესანიშნავი შანსი გახლდათ და ამიტომაც გადააკეთეს იგი ამიერკავკასიის ფედერაციის საერთო ბანკად და ა. შ.

მარქსიზმისათვის საქართველოში მატერიალური პირობები არ არსებობდა. მარქსიზმის პრინციპების განხორციელების მცდელობაც არა ყოფდა (1921 წლიდან თავად რუსეთი გადავიდა ე. წ. ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე – ნეპ-ზე). საქართველო ნეპის განხორციელებაში ჩართეს.

საქართველოში მარქსიზმი არა სჭირდებოდათ, არც იცოდნენ. სანაცვლოდ ყველა „მარქსისტი“ იყო, ვისაც არ ეზარებოდა (ვისაც თანამდებობრივი კარიერისთვის სჭირდებოდა).

ასეთ საერთო ვითარებაში არ იყო მოთხოვნა და არც ინტერესი მარქსიზმისადმი.

1991 წლისათვის, როცა საბჭოთა იმპერია დაიშალა, საქართველო წარმოადგენდა სახელმწიფო კაპიტალიზმის პრინციპებით მოწყობილ პატარა რესპუბლიკას.

მიწა, წარმოების საშუალებანი, ქვეყნის მთელი უძრავი და მოძრავი სიმდიდრე სახელმწიფოს ხელში იყო კონცენტრირებული. სახელმწიფო განსაზღვრავდა ყველაფერს: როდის, რა რაოდენობით, სად და რა უნდა გაკეთებულიყო.

გარეგნულად ყველა სახელმწიფოს დაქირავებული მუშაკი იყო, სინამდვილეში, მოსახლეობა მკვეთრად იყო დაყოფილი კატეგორიებად. სახელმწიფოს (იგულისხმება კომპარტიის) ხელმძღვანელები საზღვრავდნენ, რომელი კატეგორიის ადამიანებს რა ეკუთვნოდათ და რისი იმედი უნდა ჰქონოდათ.

სახელად ქვეყანას სოციალისტური რესპუბლიკა ეწოდებოდა. რეალურად იგი რუსეთის ოლქს წარმოადგენდა და პარტიაც რუსეთის პარტიის საოლქო ორგანიზაციას. ქვეყანა ისე იყო არეული და გადაგვარებული, როგორც ეს მოსკოვს აწყობდა.



ქვეყნის წინსვლა რადიკალურ ღონისძიებებს მოითხოვდა. უმთავრესი იყო სოციალიზმად მონათლული სახელმწიფო კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი წარმოებითი ურთიერთობანი შესაბამისობაში მოყყვანათ განვითარების დაბალ დონეზე მყოფ მწარმოებლურ ძალებთან. ობიექტურად ეს ნიშნავდა სახელმწიფო კერძო საკუთრების გვერდით კერძო ინდივიდუალური საკუთრების დაშვებას.

რეფორმები შეიძლება ორი გზით წარემართათ:

1. შეენარჩუნებინათ მძლავრი სახელმწიფო სექტორი და მის გვერდით შეექმნათ კერძო;
2. თითქმის მოესპოთ სახელმწიფო სექტორი და მის ნაცვლად დაეფუძნებინათ კერძო.

რომელი გზა იქნებოდა საუკეთესო? მომგებინანი?

გააჩნია, ვინ აღმოჩნდებოდა ხელისუფლების სათავეში.

საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური პროცესები ეროვნული მოძრაობის აღმავლობას დაემთხვა. უფრო მეტი. ეროვნული თავისი ხმაურით, პოპულარობით ჰფარავდა ეკონომიკურ-სოციალურ მოტივებს. მარქსიზმი არავის ახსოვდა და სჭირდებოდა. რადიკალი იაკობინელები არც ერთი მეორეს ინდობდნენ და, მით უფრო, გარეშეს ანგარიშს არ გაუწევდნენ.¹⁵ რევოლუციების კანონია: პირველ ეტაპზე ხელისუფლებას იაკობინელები ეუფლებიან. ისინი ან მსხვერპლნი ხდებიან გარდაქმნის პროცესებისა, ან უკეთეს შემთხვევაში უფერულდებიან და ადგილს ჟირონდისტებს (მომხვეჭელ რევოლუციონერებს) უთმობენ.

რადიკალი ლიდერი ზვიად გამსახურდია, მიუხედავად დიდი სიფრთხილისა (მეტი რომ არ ითქვას) ვერ ასცდა ამ კანონზომიერებას. მის ირგვლივ თავმოყრილი მედროვეთა ლაშქარი განვითარების კანონზომიერებაზე არც დაფიქრებულა. თვით ისეთი ეკონომისტი, როგორც ვალერიან ადვაძე იყო, მალე აღმოჩნდა გარიყულთა და შერისხულთა შორის. სანაცვლოდ

15. თუ ისეთი აღიარებული ავტორიტეტი, როგორც მ. კოსტავა იყო დაუნდობლად იმსხვერპლეს, სხვას რისი იმედი უნდა ჰქონოდა?



გმირები ხდებოდნენ უვიცი მყვირალა ადამიანები (მათი ჩამოთვლა აზრს მოკლებულია).

რადიკალიზმი დროებითი მოვლენაა. უკვე 1991 წ. გაზაფხულზე, ბევრმა ლიდერმა მიაკითხა მოსკოვში ე. შევარდნაძეს და დაიწყო ოპოზიციური მოღვაწეობა. მათაც ჰყავდათ ლიდერი თ. სიგუა. მათ მხარეს აღმოჩნდნენ „დიდი მხედართმთავრები“ თ. კიტოვანი, ჯ. იოსელიანი და ა. შ. წინ რა დაუდგებოდათ ახალი რუსეთის მიერ მხარდაჭერილებს? რუსეთის ლიდერი ბ. ელცინი დიახაც მოხარული იყო საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე ე. შევარდნაძის მოცილებით.¹⁶

წინ რა დაუდგებოდა ყოფილ „მარქსისტ-კარიერისტების“ ხროვას. ზვიად გამსახურდიას ბედი წინასწარ გადწყვეტილი იყო და შედეგსაც არ დაუგვიანებია. ტურების ზეიმი თუ მოუსმენია ადამიანს, ის ვითარება შეიქმნა.

დღის წესრიგში მწარმოებლურ ძალთა ხასიათთან ურთიერთობათა ფორმის შესაბამისობაში მოყვანა იყო, მაგრამ თეორიისათვის, მეცნიერებისათვის ვის ეცალა. 1992 წ. შეიკრა ყოფილ პარტიულ-კარიერისტთა (პარტიაშვილებისა) და თოფიანი ყაჩაღ-კარიერისტების კავშირი. მათთვის დღის წესრიგში დადგა სახელმწიფო ქონების განაწილების საკითხი (ის რასაც მეცნიერება კაპიტალის თავდაპირველ დაგროვებას უწოდებდა, აქ დაგროვილი კაპიტალის თავდაპირველი ძარცვა-მითვისებაში გამოიხატა). ჭკვიანი მძარცველები ამას მოზომილად გააკეთებდნენ. ყოფილი „მარქსისტები“ არც დაფიქრებულან, ყველაფერი დასწრებაზე იყო. ერთად-ერთი, რაც მოიფიქრეს, მინის უსისტემო განაწილება იყო. სამრეწველო ობიექტები დაშალეს, დაანაწევრეს და სწრაფი რეალიზაციის მიზნით, ჯართად გაყიდეს. მოწინავე სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ქვეყანა ჯართის სავაჭრო ცენტრად აქციეს. რა მოიგო ქვეყანამ ამით? მოიგეს ყაჩაღებმა, ქურდებმა და კარიერისტმა აფერისტებმა.

16. ე. შევარდნაძე ჭკვიანი, ცბიერი კარიერისტი იყო. როცა სჭირდებოდა, ბოლშევიკობდა, კომუნისტობდა, ათეისტობდა, დემოკრატიობდა, როცა საჭიროება მოითხოვდა, იყო ღვთისმოსავი, ეროვნულობის დამცველი და ა. შ.



1990 წლის 29 აგვისტოს, დამის 1 საათსა და 20 წუთზე თბილისის ცენტრში აიღეს ლენინის ძეგლი.



XXI ს. დასაწყისისათვის ერთიანი სახელმწიფო (ეროვნული) კაპიტალის თავდაპირველი დატაცების პროცესი დამთავრებული იყო. გაჩნდნენ ეროვნული მილიონერები და უმუშევართა არმია.

მუდმივი არაფერია. მუდმივი მხოლოდ ცვლილებებია. 2003 წ. ხელისუფლებაში ახალგაზრდა მშვიერთა თაობა მოვიდა. მათთვის ნარჩენების დაუფლება ცოტა აღმოჩნდა და დაიწყეს უკვე დატაცებულის გადანაწილება. ამას ხალხის სახელით და ხალხის ინტერესებისათვის მოღვაწეობა უწოდეს. ვის სჭირდებოდა ხალხი?

მოსახლეობის ახალგაზრდა და ინტელექტუალური ნაწილი საზღვარგარეთ გაიხიზნა. ქვეყანა მოიფინა რესტორნებით, სილამაზის სალონებით, აფთიაქებით, ავტოგასამართი სადგურებით, საროსკიპოებით, ეკლესიებით და ა. შ. ის, რაც დიდ კაპიტალდაბანდებებს არ მოითხოვდა და მოგებას მოკლე დროში იძლეოდა. ინდუსტრიული ქვეყანა ერთბაშად კაზინოებისა და სათამაშო ბიზნესის ქვეყნად გადაიქცა. არ აშენებულა არც ერთი ქარხანა, ფაბრიკა, სადაც კვალიფიციური კადრებიც დასაქმდებოდნენ. ყველაფერი ახალგამოჩევილი ბურჟუაზიის სიხარბეს ემსახურებოდა.

რა შეიცვალა ამ მხრივ 2012 წლის შემდეგ?

რისი იმედი უნდა ჰქონდეს მოსახლეობას?

ქვეყანაში 240-ზე მეტი პარტიაა ჩამოყალიბებული. მათგან ბევრის სახელწოდებას ამშვენებს სიტყვა „დემოკრატია“. როგორ დემოკრატიულ პარტიას არ ნახავს ადამიანი, მხოლოდ ეგაა, არავის აუხსნია, როგორ ესმით მათ ამ სიტყვის მნიშვნელობა ან თუ გაუგიათ დემოკრატიის მარქსისტული გაგების შესახებ?¹⁷

17. დემოკრატიის მარქსისტული გაგება შემუშავებული იქნა პარიზის კომუნის გამოცდილების საფუძველზე. იგი შედგება სამი პოლიტიკური და სამი ეკონომიკური პრინციპებისგან. ჩვენთან დემოკრატიის ეკონომიკური პრინციპები, საერთოდ, ყურადღების მიღმა დარჩენილი. არადა, მათ გარეშე დემოკრატია ვერ გაიგება. ესაა: 1. ქვეყანაში ხელფასების მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის 1:3 ან 1:5 ფარდობის დანესება; 2. უმაღლესი თანამდებობის პირთათვის სა-



პარტიები იქმნებოდა და იქმნება არაიდეურ ნიადაგზე. პარტია არის კარგად ორგანიზებული ბანდა ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით (ყოველ შემთხვევაში რამე თანამდებობის მოსაპოვებლად).

ასეთ დროს ქვეყნის მოსახლეობა დაყოფილია მცირერიცხვან ძალაუფლებისა და ეკონომიკურ-ფინანსური ძლიერების მქონე ნაწილად და პერსპექტივანართმეულ შიმშილის ზღვარზე მყოფ უმრავლესობად. ბევრი გამოსავალს რელიგიისაკენ სწრაფვაში ხედავს. არადა, პოლიტიკური გავლენისა და კეთილდღეობის მქონეთა ფენა რელიგიის მსახურთა შორისაც აშკარად იგრძნობა. თავად რელიგიურობის საკითხი საჭიროებს გამაჯანსაღებელ ზემოქმედებას. გადაუდებელ ამოცანას რუის-ურბნისის ისტორიული კრების მსგავსი ღონისძიება წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში რწმენის საკითხი დადგება საფრთხის ქვეშ.

ხელისუფლების პრობლემაა მოსაგვარებელი. რამდენადაც ქვეყანა კაპიტალისტურად განუვითარებელია, ამდენად შორსაა სანუკვარი მიზნებისაგან. მარქსიზმის მიხედვით წინ გრძელი კაპიტალისტური გზაა გასავლელი. ეს ნიშნავს, რომ სოციალურ-პოლიტიკური უსამართლობა გაგრძელდება. ასეთ დროს უახლოესი ამოცანა კაპიტალისტური წესრიგის დამყარება უნდა იყოს. დღეს ცალკეულ ჯგუფებს (კლანებს) აქვთ ხელისუფლება ჩაგდებული. ძალაუფლებას აშკარად იყენებენ სხვათა ხარჯზე გასამდიდრებლად. არ არის პოლიტიკური და სამართლებრივი განსაზღვრულობა. ანარქიულობა შეუძლებელს ხდის უსამართლო მაგრამ კაპიტალისტურად სამართლიანი ურთიერთობების განმტკიცებას.

ამავე დროს არ გამოირიცხება არსებული წარმოებითი და საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათის ცვლილებების მცდელობა. ამიტომ აუცილებელია კიდევ ერთხელ მარქსისტული გაფრთხილების შეხსენება: სხვა ურთიერთობებზე გადასვლა

შუალო ხელფასის დაწესება (მათ შორის დეპუტატებისთვის); 3. ეკონომიკური პრივილეგიების ლიკვიდაცია.



შეუძლებელია მანამ, სანამ ფულად-სასაქონლო ურთიერთობანი არ ამოწურავს შინაგან შესაძლებლობას.

იმ სხვა ურთიერთობათა ცალკეული ნიშნები კი არის...

რა იქნება მომავალში? საორიენტაციო ცოდნა წარსულშია მოცემული. მათ შორის ნათლადაა ნათქვამი მარქსიზმის მიერ ყოველგვარი მაღალფარდოვანი ფრაზების გარეშე: საზოგადოებრივი განვითარების განვლილი გზა, კაპიტალიზმის განვითარების ისტორიული ტენდენცია მითითებაა შესაძლებელზე. მომავალი ჭკვიანი თაობა ამოიცნობს და რეალობად აქცევს შესაძლებელს.

2020 წ.

სარჩემი

1. პრობლემა	3
2. ამოცანა	6
3. მარქსიზმის სათავეები	8
4. მარქსიზმი (საზოგადოების ანატომია).	16
5. ლენინიზმი.	32
6. სტალინიზმი.	43
7. მარქსიზმი, უდანაშაულო დამნაშავე	54
8. მარქსიზმი და საქართველო.	60